გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№116 (1011) 26 – 27 ნოემბერი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

„არა ძალადობას!“

გვ. 2

შსს ძალადობის წინააღმდეგ სოციალურ კამპანიას იწყებს!

პუტინის შურისძიება

რუსეთ-აფხაზეთს შორის „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ შეთანხმება“ გაფორმდა

რას აპირებს საქართველოს ხელისუფლება

გვ. 7-8

ექსკლუზიური ინტერვიუ აფხაზეთში მცხოვრებ ქართველთან

„მოშორდი, გაეთრიე უკრაინიდან!“ – როგორ მოაქცია დასავლეთმა წნეხის ქვეშ რუსეთის პრეზიდენტი

პუტინი იზოლაციაშია – ყველა ერთის წინააღმდეგ

„შსს-ს სიცოცხლეს ვანდობთ და ფარული საგამოძიებო მოქმედებები რატომ არ უნდა ვანდოთ?“

გვ. 3

რა საფრთხეს შეიცავს ე.წ. გასაღების კერძო პროვაიდერისთვის გადაცემა

„მოსმენების“ კანონის ხმაურიანი მოსმენები პარლამენტში

გვ. 4

LB ლიბერთი ბანკი LIBERTY BANK

5 წლის იუბილესთან დაკავშირებით წამახალისებელი აქციები გამართა

გვ. 4

რატომ და ვისი წყალობით შევიდა ჩიხში დომენტი გაგნიძის სასამართლო საქმე?

გვ. 9

ჯოჯოხეთი ციხის აბანოებში

სად, როგორ ბანაობდნენ „მაყურებლები“ და „ქათმები“ და რატომ იდგა ზონის საშხაპეებში სისხლის გუბეები

გვ. 6

პატიმრის დღიური

მკვლელი კოსმეტიკა

გვ. 9

შსს ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სოციალურ კამპანიას – „არა ძალადობას!“ იწყებს!

რუსუდან შელია
557-100-768

შინაგან საქმეთა სამინისტრო, სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად, აშშ-ს საელჩოს მხარდაჭერით, იწყებს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სოციალურ კამპანიას სახელწოდებით — „არა ძალადობას!“. კამპანიის მიზანი ოჯახში ძალადობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ამ პრობლემის დასაძლევად საზოგადოების ჩართულობის აუცილებლობის ხაზგასმაა. კამპანიის ფარგლებში დაგეგმილი სხვადასხვა ღონისძიების მეშვეობით, საზოგადოება მიიღებს ინფორმაციას, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლს კანონი იცავს, მოძალადეები კი, კანონით დაისჯებიან. შინაგან საქმეთა სამინისტროში გამართულ პრეზენტაციას შს მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე, მისი მოადგილე ლევან იზორია, სამინისტროს სხვა ხელმძღვანელი პირები, ასევე ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების მინისტრი დავით სერგეენკო, ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილი, პარლამენტის წევრები, აშშ-ს ელჩის მოადგილე ნიკოლას ბერლინერი, INL-ის უფროსი ტრეისი ნიუველი, გაერო-ს ქალთა ორგანიზაციის (UN Woman), საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ. პრეზენტაციაზე კამპანიის ფარგლებში მომზადებული საინფორმაციო ვიდეორგოლის — „ძალადობა დასჯადია“ — ჩვენებაც გაიმართა, რომელიც სამი კვირის განმავლობაში სატელევიზიო ეთერში განთავსდება. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, 2013 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვით ოჯახში ძალადობის კრიმინალიზაცია მოხდა. კანონში შესული ცვლილებების თანახმად, ოჯახში ძალადობა 1 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა შსს-ს აკადემიის სასწავლო პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. შსს-ს თანამშრომლებს, ქვეყნის მასშტაბით, ოჯახში ძალადობის საკითხებზე ტრენინგები უტარდებათ. სპეციალურად გადამზადებული უბნის ინსპექტორები კონფლიქტური ოჯახების პერიოდულ კონტროლს, ანალიზს და შესაბამის რეაგირებას ახორციელებენ. კამპანიის ფარგლებში, უბნის ინსპექტორები საქართველოს მასშტაბით დაარიგებენ შს სამინისტროს მიერ მომზადებულ საინფორმაციო ბუკლეტებსაც. აღსანიშნავია, რომ ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით ახალგაზრდა თაობის უკეთ ინფორმირების მიზნით, თბილისსა და საქართველოს რეგიონებში საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრები საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ჩატარდება. შეხვედრებს შს და განათლების სამინისტროების ერთობლივი სამუშაო ჯგუფი გამართავს, რომლის წევრებიც არიან: შსს-ს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის პროექტების მართვის სამმართველოს უფროსი მაკა ფერაძე, შსს-ს აკადემიის პროფესიული მომზადების სამმართველოს საპატრულო პოლიციის ფაკულტეტის უფროსი ნოდარ სააკაშვილი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი ნინო კვიტაიშვილი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის“ თავმჯდომარე ნატო შავლაყაძე და ფსიქოლოგი თამარ გოგოტიშვილი.

კამპანიაში საზოგადოების ჩართულობის ამაღლების მიზნით, ოჯახში ძალადობის თემაზე გამოცხადდება კონკურსები ჟურნალისტებისთვის — საუკეთესო ჟურნალისტურ ნამუშევარზე და მოქალაქეებისთვის — საუკეთესო სლოგანზე, ლოგოსა და ფოტოსურათზე. კონკურსებში გამარჯვებულებს სიგელებსა და საჩუქრებს შსს და გაერო-ს ქალთა ორგანიზაცია UN WOMAN გადასცემს. კამპანიის ფარგლებში ასევე გაიმართება კომპოზიტორ რუსა მორჩილაძის სიმღერისა და „არტ პალასის“ მიერ მასზე გადაღებული კლიპის პრეზენტაცია. სიმღერა, რომელიც „ბრავო რეკორდსში“ ჩაიწერა და რომელსაც ქართველი მომღერლები ასრულებენ, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას მიეძღვნა. ამ საკითხს ასევე მიეძღვნება თოქ-შოუები და რადიოგადაცემები, დაგეგმილია ქუჩის აქციებიც და აქტივობები სოციალურ ქსელში.

შსს-ს აკადემიის პროფესიული მომზადების სამმართველოს საპატრულო პოლიციის ფაკულტეტის უფროსი **ნოდარ სააკაშვილი** აცხადებს, რომ პრობლემის მოგვარებაში ოჯახის მაქსიმალური ინფორმირება დადებით გავლენას მოახდენს: **„შსს-მ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი ეტაპი დაიწყო. ყველა რეგიონული თუ რაიონული დანაყოფიდან პოლიციელები გადამზადდნენ. ამ მიმართულებით საზოგადოების ჩართულობაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. განათლების სამინისტრომ მხარი დაუჭირა თითოეულ ოჯახში სამართლებრივი დაცვის მექანიზმების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, რაც პრობლემის გადაჭრაში დადებით გავლენას მოახდენს“.**

კახა კალაძე, ენერგეტიკის მინისტრი: **„ძალადობა მწვავე პრობლემაა მსოფლიოში. საქართველოში ამ პრობლემას ამძაფრებს ის, რომ თემა ტაბუდადებულად ითვლება — საზოგადოებას მიაჩნია, რომ ოჯახში არსებული ძალადობა, ოჯახის პრობლემაა. ეს სტერეოტიპი უნდა დავანგრიოთ. მომავალ თაობას მსგავსი პრობლემები რომ აღარ ჰქონდეს, ძალადობის წინააღმდეგ ყველა უნდა გავერთიანდეთ“.**

დავით სერგეენკო, ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების მინისტრი: **„პრემიერის დავალებით შეიქმნა საკოორდინაციო ჯგუფი, რომლის ამოცანა ძალადობის ნებისმიერი გამოვლინების წინააღმდეგ ძირითადი სტრატეგიის გაწერაა. პროცესში ჯანდაცვის სამინისტროც ჩართულია. გვჯერა, სახელმწიფო და სამოქალაქო სექტორი, საზოგადოებასთან ერთად გაერთიანდება და ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას წარმატებით განახორციელებს“.**

ნიკოლას ბერლინერი, საქართველოში აშშ-ს ელჩის მოადგილე: **„აშშ ინიციატივას მხარს უჭერს. ამ მიმართულებით აპლოდისმენტებს იმსახურებს შსს, ასევე ჯანდაცვის, განათლების სამინისტროები და ზოგადად, საქართველოს მთავრობა“.**

ლევან ყიფიანი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი: **„სამინისტრომ ძალადობის საწინააღმდეგო აქტივობები ნოემბრიდან დაიწყო. სპორტსმენები და სხვადასხვა სპორტული ფედერაცია ძალადობის წინააღმდეგ აქტიურად ჩაერთნენ. ამ მანკიერების წინააღმდეგ საზოგადოების კონსოლიდაცია აუცილებელია“.**

ქეთევან ნატრიაშვილი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე: **„ჩვენ უწყებას საგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხო გარემოს შექმნა აქვს განსაზღვრული. ეს კი, ფიზიკური და ემოციური ძალადობისაგან დაცულ გარემოს, ასევე გარკვეული საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას, მშობელთა ცნობიერების ამაღლებასა და საზოგადოებასთან მუშაობას გულისხმობს“.**

„საქართველოს ლიდერი ამბობს, რომ ქვეყანა კვლავინდებურად იხრება დასავლეთისკენ“

როგორც Wall street journal-ის სტატიაშია აღნიშნული, მოულოდნელმა მოვლენებმა დასავლელი ლიდერები შეაშფოთა, თუმცა **ირაკლი ღარიბაშვილმა** ინტერვიუში განაცხადა, რომ მისი მთავრობა ევროპული არჩევანის ერთგულია.

ირაკლი ღარიბაშვილი იმყოფებოდა ბრიუსელში, რათა შეხვედროდა ფედერიკა მოდერინის, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის მეთაურს და ნატო-ს გენერალურ მდივანს იენს სტოლტენბერგს. ეს მოხდა ორი კვირის თავზე, მას შემდეგ, რაც ღარიბაშვილმა გაათავისუფლა თავდაცვის მინისტრი, რამაც გამოიწვია საგარეო საქმეთა და ევროინტეგრაციის მინისტრების მიერ თანამდებობების დატოვება.

ამ მოულოდნელმა მოვლენებმა შეაშფოთა დასავლელი ლიდერები, თუმცა ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ მთელი მისი მთავრობა ერთგულია ევროპული არჩევანისა და, რომ ყოფილი მინისტრების მიერ გამოთქმული უკანასკნელი შენიშვნები „ძალზე უპასუხისმგებლო“ იყო.

„ვინ არის პროსაბჭოური? ჩვენ ვართ პროდასავლელები“, — განაცხადა ღარიბაშვილმა. მისი თქმით, ცვლილებები მინისტრთა კაბინეტში მიმდინარეობს შიდაპოლიტიკიდან გამომდინარე: **„ეს არის წმინდა შიდასაკითხი. მას საერთო არაფერი აქვს ჩვენი ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის კურსთან. ეს უბრალოდ სასაცილოა“.**

და მაინც, ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებმა განაცხადეს, რომ ყურადღებით მიადევნებენ თვალყურს მოვლენებს შემდგომი რამდენიმე კვირის განმავლობაში, რათა დარწმუნდნენ, საქართველო არ გადაუხვევს კანონის უზენაესობის გზას. საქართველომ ახლახან განახორციელა რამდენიმე მაღალჩინოსნის სამართლებრივი დევნა, ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ჩათვლით, რამაც დასავლეთში ზოგიერთის მხრიდან გამოიწვია კითხვები, იყო თუ არა ეს ნაბიჯები პოლიტიკურად მოტივირებული.

ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლინას ლინკევიჩუსმა განაცხადა, რომ საქართველომ ახლა უნდა დაგვარწმუნოს დემოკრატიის შესახებ თავისი დაპირებების გულწრფელობაში. ღარიბაშვილმა უნდა მოახდინოს დემონსტრირება, რომ მისი გუნდი თამაშის წესებს არ არღვევს.

ფსონები მაღალია, რადგან რუსეთი აძლიერებს ზეწოლას მის პერიფერიებში განლაგებულ ქვეყნებზე, განსაკუთრებით საქართველოსა და მოლდოვაზე. ამ ორ ქვეყანასა და უკრაინასთან ევროკავშირმა გააფორმა ასოცირების ხელშეკრულებები. საპასუხოდ, რუსეთმა განაცხადა, რომ ახორციელებს შეთანხმებას „ალიანსსა და ინტეგრაციასთან“ დაკავშირებით საქართველოს სეპარატისტულ რეგიონთან — აფხაზეთთან, რომელიც რუსეთის კონტროლის ქვეშაა. **„ეს კიდევ ერთი დიდი ნაბიჯია საქართველოს ტერიტორიის ანექსიისკენ“,** — განაცხადა ღარიბაშვილმა და დასძინა, რომ ცდილობს, კონსტრუქციულად ითანამშრომლოს რუსეთთან.

ღარიბაშვილმა და ნატო-ს მეთაურმა სტოლტენბერგმა დაგეგმეს იმსჯელონ, თუ როგორ განხორციელდება ნატო-საქართველოს თანამშრომლობის გეგმა.

„პირველი“

ვერსიანიუსი

თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების საქმეს გრიფი „საიდუმლო“ მოეხსნა

ამასთან დაკავშირებით მთავარ პროკურატურაში საგანგებო ბრიფინგი გაიმართა. გრიფი არ მოეხსნა მტკიცებულებების იმ ნაწილს, რომელიც სამხედრო უსაფრთხოებასთანაა დაკავშირებული.

პროკურატურამ თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები — გიზო ღლონტი, ნუგზარ კაიშაური, გიორგი ლობჟანიძე, არჩილ ალავიძე და დავით წიფურია დააკავა. საგამოძიებო უწყება მათ სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 4 102 872 ლარის გაფლანგვას ედავება. მათ თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

„პირველი“

„შსს-ს ვანდობთ ჩვენ სიცოცხლეს და ფარული საგამოძიებო მოქმედებები რატომ არ უნდა ვანდოთ?“

რატომ იქცევა შაღვა შავგულიძე არაკორექტულად, რა საფრთხეს შეიცავს ე.წ. გასაღების კერძო პროვაიდერისთვის გადაცემა და აქვს თუ არა პრეზიდენტის იმედი ეკა ბესელიას

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ბევრი დავისა და არგუმენტების ომის შემდეგ, ე.წ. მოსმენების შესახებ კანონის განხილვებზე, წამყვანი ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი იქნება. ეს გადაწყვეტილება დეპუტატებმა ბიუროს სხდომაზე მიიღეს. დამატებით არგუმენტად კი ის დასახელდა, რომ უმრავლესობის მთავარი პროექტის ორი ძირითადი ავტორი სწორედ კომიტეტის თავმჯდომარე და მისი მოადგილე არიან. „ვერსია“ გთავაზობთ ინტერვიუს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის პირველ პირთან, ეკა ბესელიასთან, რომელიც დიდი განხილვების დაწყებამდე, საკუთარ პროექტს დეტალურად განმარტავს.

— პარლამენტში ორი საკანონმდებლო ინიციატივა დარეგისტრირდა — თქვენი და ვახტანგ ხმალაძის. როგორ ფიქრობთ, რომელი მოიპოვებს დეპუტატების მხარდაჭერას და რატომ?

— ვერ ვიტყვი, რომ ეს ჩვეულებრივი მოვლენაა — პარლამენტში 2 პროექტია ინიცირებული და ეს უკვე არაორდინარულია, მაგრამ ფაქტია, ჩვენი კონცეფციები ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდება. ჩვენი მოდელით, შემოდის ე.წ. 2 გასაღების პრინციპი, რაც ასევე კონსენსუსის პროდუქტი იყო. ჩვენი პროექტი ორი მნიშვნელოვანი უფლების ბალანსია — უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების, რომ მისი პირადი კომუნიკაცია დაცული იყოს. ეს მოდელი რამდენიმე ქვეყანაში მოქმედებს. ბატონი ვახტანგ ხმალაძის მოდელი კი ახალი ფორმულაა და გულისხმობს, ფარული მოსმენების ფუნქცია მარეგულირებელ კომისიას ჰქონდეს. როგორც გითხარით, ჩვენი პროექტი კონსნესუსის შედეგია როგორც დეპუტატებს შორის, ასევე — მთავრობასთან. ჩვენს კონცეფციაშია პრინციპი — მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის პარალელურად, შესაბამის უწყებებზე გარეკონტროლიც არსებობდეს.

— მესამე, არასამთავრობო ორგანიზაციების იდეა ლამის საყოველთაოდ მიუღებელი აღმოჩნდა. რა საფრთხეს შეიცავს ე.წ. გასაღების კერძო პროვაიდერებისთვის გადაცემა?

— რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წინადადება — ფარული მოსმენების უფლება კერძო პროვაიდერებს ჰქონდეთ — თითქმის ყველასთვის მიუღებელია და მათ შორის, კერძო პროვაიდერებისთვისაც. ისინი თავად ამბობენ, რომ ეს „გასაღები“ არ სურთ და არც შეუძლიათ შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა.

> **წარმოიდგინეთ, 170-ზე მეტი კერძო პროვაიდერია, ეს რიცხვი კი ხვალ შეიძლება 300 გახდეს. ყველას ვაძლევთ უფლებას, ჩვენს მოქალაქეებს ფარულად უსმინონ? ზოგიერთის უკან უცხო სახელმწიფო დგას და ვინ იღებს პასუხისმგებლობას ქვეყნის უსაფრთხოებაზე ან ხვალ ვინ იყიდის რომელიმე კერძო პროვაიდერს, ამის პროგნოზირება შეიძლება?! ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი ოკუპირებულია და ამ საფრთხეებს რატომ არ ვითვალისწინებთ?**

— პრემიერის შეფასება, არასამთავრობოებთან მიმართებაში, უფრო მწვავე იყო. მისი თქმით, ისინი შსს-ს პარალიზებას ცდილობენ და მათ ნაციონალები იყენებენ. ეთანხმებით ამ განცხადებას?

— არასამთავრობო სექტორის პოზიცია ზოგჯერ განსხვავებული შეიძლება იყოს, მაგრამ, როცა სახელმწიფოს წარმოადგენ, სხვა ხარისხის პასუხისმგებლობა გაქვს და ხშირად გადაწყვეტილება იმის მიხედვით კი არ უნდა მიიღო, რას ისურვებდი, არამედ რა სჭირდება ქვეყანას. სამოქალაქო სექტორში ვიყავი და მესმის არასამთავრობოების ხედვა, მაგრამ დღეს საჯარო სამსახურში ვარ და მეტი პასუხისმგებლობა მაქვს. ინსტიტუტის დაკნინებაა, როცა ამბობ, შსს-ს ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების უფლება არ უნდა ჰქონდეს. თუკი გუშინ ვანო მერაბიშვილის უწყებაში ხალხს უკანონოდ უსმენდნენ, მაშინ სასამართლოსაც გამოჰქონდა პოლიტიკური განაჩენები და რა ვქნათ, სასამართლოს მართლმსაჯულების ფუნქცია ჩამოვართვათ? გუშინ მარეგულირებელი კომისიაც არღვევდა კანონს და დღეს არ ვენდოთ? ან შსს-ს ადამიანის დაკავების უფლებამოსილებას თუ ვანდობთ, რატომ არ უნდა ვანდოთ ფარული მოსმენების უფლება? ლოგიკა არ მესმის.

— თუმცა ზოგიერთი დეპუტატის, მათ შორის, უმრავლესობის წევრების აზრით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი ამხელა პასუხისმგებლობას ვერ იტვირთავს. როგორ აპირებთ ამ ინსტიტუტის გაძლიერებას?

— ჩვენი კონცეფციით, მოსამართლე მთავარი მაკონტროლებელია და მის გარეშე ფარული მოსმენა არ ხდება. ერთი გასაღები შსს უნდა ჰქონდეს და უსაფრთხოებაზე იყოს პასუხისმგებელი, ხოლო თავის მხრივ, შსს, პერსონალურ მონაცემთა ომბუდსმენმა უნდა აკონტროლოს. ეს ეფექტური კონცეფციაა, რომლის მიხედვით, შსს-ზე გარეკონტროლი უზრუნველყოფილია.

> **თუ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი დაინახავს, რომ პროცედურა ირღვევა ან შსს უკანონოდ ერევა, მას ე.წ. გასაღების გამორთვა და ფარული საგამოძიებო მოქმედებების შეჩერება ნებისმიერ დროს შეუძლია; ისიც შეუძლია, შსს-ს ფარული მოსმენების დაწყებაზე თანხმობა არ მისცეს, ამ ყველაფერს კი დასაწყისშიც და დასასრულსაც, სასამართლო ამოწმებს, რაც კონტროლის ყველაზე ეფექტური ფორმაა.**

თანაც, ინსპექტორს დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი აქვს ისევე, როგორც სანდოობა. სხვა უწყებებისგან განსხვავებით, მის უკან არც მძიმე წარსულია. არ მესმის, მარეგულირებელ კომისიას რატომ აქვს უფრო მაღალი სანდოობა? თუ ასეა, ომბუდსმენსაც, მონაცემთა დაცვის ინსპექტორივით, პარლამენტი ირჩევს და არ ვენდოთ? ასე დავა უსასრულოდ შეიძლება.

— თუმცა საზოგადოებისა და დეპუტატების ნაწილს იდეა იმიტომ არ მოსწონს, რომ ერთი „გასაღები“ მაინც შსს-ში რჩება. მართლაც, ვინ გვაძლევს გარანტიას, რომ უწყებაში ახალი „ხვედელიძეები“ არ გამოჩნდებიან?

— ჩვენ პოლიტიკური რეალობა შევცვალეთ და ყველა ინსტიტუტის დეპოლიტიზება დავიწყეთ. მოდი, ასე დავსვათ საკითხი — უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი ვინაა ამ ქვეყანაში? ვინ უნდა გამოიძიოს და აღკვეთოს დანაშაული — შს სამინისტრომ! სწორედ მას ვანდობთ ჩვენს სიცოცხლეს და არ ვანდობთ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს? ამ ლოგიკას ვერასოდეს გავიზიარებ! ახლა იმასაც უნდა მივაღწიოთ, ინსტიტუტები გარეკონტროლის პირობებში, გამართულად მუშაობდნენ.

— ისე, როგორც შალვა შავგულიძე ვარაუდობს, პრეზიდენტი თქვენს პროექტს ვეტოს დაადებს. რას იზამს უმრავლესობა ამ შემთხვევაში?

— რას იზამს პრეზიდენტი, არ ვიცი და ასეთი განცხადებებით, მავანნი, პრეზიდენტს წინასწარ უქმნიან განწყობას, კანონს ვეტო დაადოს. ეს ძალიან არაკორექტული საქციელია. დაიწყოს განხილვა და ვნახოთ, კიდევ რა ცვლილებების შეტანა იქნება საჭირო. პრეზიდენტი ხელს უწყობს ქვეყანაში სახელმწიფო ორგანოების მუშაობასა და კოორდინაციას. ქვეყანას უსაფრთხოების დიდი პრობლემა აქვს და ჩვენი კანონები, ამ შემთხვევაში კანონი მოსმენების შესახებ, ამ საფრთხეების ადეკვატური უნდა იყოს. ბოლოს და ბოლოს, თუკი ყველა ადამიანის უფლებებისთვის იბრძვის, ის რატომ ავიწყდებათ, რომ ადამიანის უფლებაა, უსაფრთხო გარემოში იცხოვროს!

სააკაშვილის პირადი ოპერატორი დაკითხეს

თამაზ შავშიშვილი პროკურატურამ აგვისტოს ომის თემატიკასთან დაკავშირებით დაკითხა. შავშიშვილი უწყებაში ადვოკატთან ერთად გამოცხადდა. ოთარ კახიძის განმარტებით, გამოძიება გენოციდის და ჰუმანიტარული სამართლის საერთაშორისო ნორმების დარღვევის მუხლით მიმდინარეობს: **„ჩემთვის ეს სიურპრიზი არ ყოფილა. ჩემთვის ცნობილია, რომ საქართველოს პროკურატურა აწარმოებს გამოძიებას და ეძებს ქართული მხარის დანაშაულს აგვისტოს ომში, ვინაიდან ჩვენი ახლანდელი ხელისუფლება საქართველოს წინა მთავრობას ომის გაჩაღებაში ადანაშაულებს“.** დაკითხვაზე შესვლის წინ, დავით შავშიშვილი მცირე კომენტარით შემოიფარგლა და აღნიშნა, რომ მისი დაბარება არ გაკვირვებია. თამაზ შავშიშვილის დაკითხვა დაახლოებით ორსაათნახევარი გაგრძელდა. დაკითხვიდან გამოსულმა კომენტარი არ გააკეთა. როგორც ოპერატორის ადვოკატმა ოთარ კახიძემ განაცხადა, გამოძიებას აინტერესებდა 2008 წლის აგვისტოში პრეზიდენტის მონაწილეობით გამართული შეხვედრების, მისი მიმართვების ამსახველი ვიდეომასალების არქივი: **„დასაკითხი პირი ახორციელებდა მხოლოდ ვიდეოგადაღებას და მის უფლებამოვალეობაში არ შედიოდა არქივის შედგენა. მასალები გადაეცემოდა ტელევიზიებს. რაიმე კონკრეტული კითხვა, კონკრეტული საკითხის თაობაზე, დაკითხვის მიმდინარეობისას არ დასმულა“.**

„პირველი“

ლატვიის პრეზიდენტი საქართველოს სახელმწიფო ვიზიტით ესტუმრა

საქართველოს პრეზიდენტის მოწვევით, 25 ნოემბერს საქართველოს სახელმწიფო ვიზიტით, ლატვიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ანდრის ბერზინში ეწვია.

ვიზიტის ოფიციალური ნაწილი 26 ნოემბერს დაიწყება. პრეზიდენტის სასახლეში გაიმართება დახვედრის ოფიციალური ცერემონია, რის შემდეგაც ორი ქვეყნის ლიდერები ერთმანეთს ჯერ პირისპირ, ხოლო შემდეგ გაფართოებული შემადგენლობით შეხვდებიან. შეხვედრის დასრულებისთანავე გიორგი მარგველაშვილი და ანდრის ბერზინში ერთობლივ პრესკონფერენციას გამართავენ. ასევე დაგეგმილია ლატვიის პრეზიდენტის შეხვედრები საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტის თავმჯდომარესთან.

ანდრის ბერზინში გვირგვინით შეამკობს საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალს. ამას გარდა, ლატვიის პრეზიდენტი მონაწილეობას მიიღებს საქართველოსა და ლატვიის რესპუბლიკის ერთობლივ ბიზნესფორუმში. ვიზიტის ფარგლებში ასევე დაგეგმილია ორმხრივი შეთანხმებების გაფორმება სხვადასხვა სამინისტროსთან.

27 ნოემბერს, ლატვიის პრეზიდენტის სახელმწიფო ვიზიტის ფარგლებში გიორგი მარგველაშვილი და ანდრის ბერზინში აჭარის რეგიონსაც ეწვევიან. ანდრის ბერზინში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს არჩილ ხაბაძეს შეხვდება. ასევე დაესწრება ლატვიის საპატიო საკონსულოს გახსნის ცერემონიას და ბიზნესფორუმის ფარგლებში — საინვესტიციო პროექტების პრეზენტაციას. ღონისძიების ფარგლებში ხელს მოაწერენ ბათუმისა და იურმალის დამეგობრების შესახებ ხელშეკრულებას. ლატვიის პირველი პირი საზღვაო აკადემიასაც ესტუმრება, სადაც მხარეები თანამშრომლობის მემორანდუმს გააფორმებენ.

ლატვიის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ბიზნესწრეების წარმომადგენლები არიან, საქართველოს 27 ნოემბერს დატოვებს.

„პირველი“

ვერსიანიუსი

ზუგდიდში როლანდ ახალაია დააყაჩაღეს

ყაჩაღობა 24 ნოემბერს გვიან ღამით მოხდა. სამი შეიარაღებული პირი რუსთაველის ქუჩაზე მცხოვრები მოქალაქის, როლანდ ახალაიას ოჯახში შეიჭრა, საიდანაც 5 000 დოლარი და ოქროს ნივთები წაიღო.

დაზარალებულის შვილის, ელისო ახალაიას ინფორმაციით, ნიღბიანებმა ასევე მიიტაცეს მათი კუთვნილი ავტომობილი, რომელიც უკვე ნაპოვნია. როლანდ ახალაიას თავში კონდახი ჩაარტყეს.

დაზარალებული როლანდ ახალაია ზუგდიდში ვალუტის გადამცვლელი ჯიხურის მფლობელია. ოჯახის ინფორმაციით, ის მძიმე ავადმყოფია, სამკურნალოდ თბილისში აპირებდა წასვლას და თანხა სახლში სწორედ ამ მიზნით ჰქონდა შენახული. შემთხვევას ზუგდიდის პოლიციის სამმართველო იძიებს.

„პირველი“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

„მოსმენების“ კანონის ხმაურიანი მოსმენები პარლამენტში

გედევან ფოფხაძე: „ამ კანონპროექტს პოლიტიკური ინტერესი არ უნდა შეეწიროს“

ხმაურიანი გარჩევა ე.წ. მოსმენების კანონპროექტის გარშემო 25 ნოემბერს თბილისის პარლამენტში, იურიდიულ კომიტეტში დაიწყო. ამ საკითხს, ვახტანგ ხმალაძის კომიტეტი დიდი ხნის განმავლობაში სწავლობდა, შეიქმნა შესაბამისი სამუშაო ჯგუფი, შეიცვალა კანონის არსებული რედაქცია, რომელიც პარლამენტმა, იურიდიული კომიტეტის მუშაობის შედეგად, 1 აგვისტოს მიიღო და 18 აგვისტოს ამოქმედდა. თუმცა ბიუროს სხდომაზე, 24 ნოემბერს გადაწყდა, რომ ამ თემაზე წამყვანი ხმალაძის კი არა, ეკა ბესელიას კომიტეტი იქნება. აღშფოთება იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარემ ვერც 24 ნოემბერს დამალა და ვერც 25-ში. გედევან ფოფხაძე კი კანონის სამი ავტორიდან ერთადერთი მომხსენებელი იყო და მწვავე დებატებში, შალვა შავგულიძის, ნინო გოგუაძის, ვახტანგ ხმალაძის, თამარ კორძაიასა და თინა ხიდაშელის პირისპირ, მთელი 3 საათის განმავლობაშიც, მხოლოდ იგი იცავდა უმრავლესობის ნაწილის პოზიციას.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ბესელია-ფოფხაძე-სესიაშვილის კანონპროექტის პირველი მოსმენა იყო, ხშირად ისმოდა კითხვები ცალკეული მუხლების შესახებ. მუხლობრივი განხილვა მხოლოდ მეორე მოსმენითაა გათვალისწინებული — ეს პასუხი ფოფხაძეს კითხვებზე თავისარიდებად ჩაუთვალეს. დებატები დაახლოებით ერთ საათში, ისეთ საკითხამდე მივიდა, როგორიცაა — რა ხდება, როცა დანაშაული ინტიმური კავშირის დროს იგეგმება: შსს მასალას ინახავს და მერე შიფრავს თუ, როგორც საერთაშორისო პრაქტიკაშია, ინტიმური სცენის დაწყებისთანავე, ჩაწერასა და მოსმენას წყვეტს. არასამთავრობებმა დასვეს რამდენიმე საინტერესო კითხვაც — კადრებს თუ ჩანაწერებს რატომ არ ვანადგურებთ, თუკი ისინი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის ღირებულ ინფორმაციას არ შეიცავს და რომელ კასრებში ვაპირებთ მათ შენახვას; ასევე — რა ტიპის ინფორმაცია უნდა გამოიყენოს შსს-მ მტკიცებულების სახით და რა ბედი ეწევა მასალებს, რაც მტკიცებულებად არ გამოდგება. დეპუტატ შალვა შავგულიძის თქმით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი შს უწყების გარემაკონტროლებელი ვერ იქნება, რადგან იგი, ამ შემთხვევაში, შს სამინისტროსთან ერთად მოქმედებს და „გასაღების გადამტრიალებელი“, ანუ შემსრულებელია. ამიტომ ვერ იქნება ეს უწყება ერთდროულად მაკონტროლებელიცა და შემსრულებელიცო, — შავგულიძემ კიდევ ერთი საინტერესო კითხვა დასვა — რა მოხდება, თუ შსს და ინსპექტორი გარიგდებიან. როცა ფოფხაძემ უპასუხა, ინსპექტორს, თავის მხრივ, პარლამენტი გააკონტროლებსო, დავაში თინა ხიდაშელი ჩაერთო, ასეთი რამ თქვენ კანონპროექტში საერთოდ არ წერიაო. მეტიც, არც ე.წ. ორ გასაღებზეა საუბარი და არ ჩანს, რომ შსს-ს ინსპექტორი შეზღუდავს ან გააკონტროლებს. რესპუბლიკელი ქალბატონი, რომელიც კომიტეტზე აშკარად მთავარი „დამრტყმელი“ ძალა იყო, პოლიტიკური ბრალდებითაც გამოვიდა: **„ჩვენ კი ვიცით, სადაც დაიწერა კანონპროექტი, მაგრამ, რადგან იბრალებთ, რომ ავტორები ხართ, გვიპასუხეთ: კონკრეტულად რომელ პუნქტში წერია, რომ ერთ-ერთი საკონტროლო გასაღები ინსპექტორის ხელში იქნება? სად წერია, რომ ორსაფეხურიანი სისტემა ამოქმედდება? მაჩვენეთ კონკრეტული მუხლები, თუ არა, თქვით, რომ კანონი შსს-მ დაგიწერათ ან კონტრდაზვერვის სამსახურმა მოგიტანათ“.**

გედევან ფოფხაძემ განაცხადა თუ სადმე რაიმე ტექნიკური ხარვეზია, ან წინადადება ორაზროვნად იკითხება, ავტორები ცვლილებების შესატანად მზად არიანო. მოგვიანებით კი, „ვერსიისთვის“, ხიდაშელის მწვავე განცხადებებსაც გამოეხმაურა: **„ასეთი კითხვის დასმას კოლეგებს არ ვაკადრებდი. ეს არაკოლეგიალურია. იურიდიული კომიტეტის წევრები ხშირად, კორექტულები არ იყვნენ! ვცდილობ, კომპრომისული ვარიანტი გამოვნახო — ჩემი აზრით, ესაა კანონპროექტი, რომელიც უწყებებს შორის კონსენსუსის შედეგია. არაა მართალი, თითქოს კანონი ვიღაცამ დაგვიწერა. თქმა, ბესელია, ფოფხაძე ან სესიაშვილი კანონპროექტს ვერ დაწერენო, უხერხულია! ვიცი, ბესელია-სესიაშვილმა დაწერეს, მაგრამ ნამდვილად არ ვიცი, ვინ რა მუხლი ჩადო, ვინ კრეფდა ტექსტს, ვინ კარნახობდა. ადამიანებს, ვინც ამ კანონპროექტს მუდმივად შსს-სთან აკავშირებს, საკითხის სხვა თემაზე გადატანა სურთ. ისინი არსებითი არგუმენტებით არ კამათობენ. ეს აპრობირებულია მეთოდია, რომელსაც არ მივესალმები. საგნობრივი შენიშვნებიც იყო, ამიტომ უნდა დავსხდეთ და ყველაფერი გავასწოროთ! პირველი მოსმენის შემდეგ ყველა კანონპროექტი იცვლება, მაგრამ ამის გამო ავტორებს კვალიფიკაციასა და კომპეტენციას არ ვუწუნებ! იმის შიშით, ვინმე უმრავლესობიდან არ გავიდეს, ჩვენს პოზიციებს ყველას ინტერესს ვერ მოვარგებთ. ამ კანონპროექტს პოლიტიკური ინტერესი არ უნდა შეეწიროს“.**

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შენიშვნა, რომელიც მომხსენებელმა მიიღო, კიბერდანაშაულს ეხებოდა. კითხვა კვლავ შალვა შავგულიძემ დასვა და დაინტერესდა, რატომ არ ვრცელდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის უფლებები და ცვლილება კანონში კიბერდანაშაულზე. ანუ, ვინ და როგორ დაგვიცავს იმ შემთხვევაში, თუ საქმე მაინცდამაინც სატელეფონო მოსმენებს კი არა, სხვადასხვა სოციალური ქსელებისა თუ მაილის გატეხვასა და პირადი მიმოწერის უკანონოდ ამოღება-გამოყენებას ეხება. როგორც მოგვიანებით აღინიშნა, ესეც ტექნიკური ხარვეზია და მეორე მოსმენის დროს, მოქალაქეთა უფლებებს ამ ნაწილში უფრო გაითვალისწინებენ. იურიდიული კომიტეტის სხდომა დროში გაიწელა და ამავე დარბაზის რიგში მდგომი ადამიანის უფლებათა კომიტეტის სხდომა ვერ დაიწყო. ბოლოს ბესელიას კომიტეტის წევრებმა სხვა სართულსა და სხვა დარბაზში გადაინაცვლეს, ვახტანგ ხმალაძე კი მომხსენებელს შეელია და საკუთარი, ალტერნატიული კანონპროექტის განხილვა გედევან ფოფხაძის გარეშე დაიწყო. ხმალაძის პროექტი ე.წ. ერთგასაღებიან სისტემას გულისხმობს, რომლის მიხედვით, ეს ერთი გასაღები პრინციპულად არ უნდა ჰქონდეს შსს-ს და იგი ეროვნული კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას უნდა გადაეცეს. ალტერნატიულმა პროექტმა სულ რიხინ-რიხინით ჩაიარა და ფოფხაძესთან ბრძოლით გადაღლილ დეპუტატებსა და არასამთავრობოებს კითხვები არ გასჩენიათ. სამაგიეროდ, ფოფხაძისთვის ბრძოლის მეორე რაუნდი ორი სართულით ქვემოთ, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში გაგრძელდა, სადაც კვლავ მომხსენებლის როლი ერგო, თუმცა აქ უკვე ბესელიამ იმარჯვა, წინა კომიტეტზე დასმული კითხვების ნაწილს შესავალ სიტყვაშივე უპასუხა და განაცხადა, რომ გასაღები უნდა ვანდოთ შსს-ს, რომელსაც სიცოცხლესაც ვანდობთ.

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სხდომა გაცილებით კონსტრუქციულად წარიმართა. მას სპეციალური წარმომადგენელი შსს-დან, იურისტი დავით გაბეხაძეც ესწრებოდა. იგი პოლიტიკურ ბრალდებებს მშვიდად უსმენდა, დავის მიწურულს კი განაცხადა, ამ კანონში ცვლილების შეტანა ჩვენი უწყებისთვის იმიტომაა მნიშვნელოვანი, მთელი რიგი ბიუროკრატიული პროცედურების გამო, იმ 15-დღიან ვადაში, რაც გამოძიების დასაწყებად გვაქვს მოცემული, ვერ ვეტეოდითო. კანონპროექტის პირველ მოსმენას მოვლენების მთავარი გმირი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი **თამარ ქალდანიც** ესწრებოდა, რომელმაც რამდენიმე საინტერესო შენიშვნა და მოსაზრება გამოთქვა: „თუ **ინსპექტორი შსს-ს მაკონტროლებელი იქნება, მისი ეს კონტროლი, ნებისმიერ შემთხვევაში, მხოლოდ ფარული სატელეფონო მოსმენების კი არა, კიბერდანაშაულის ნაწილსაც უნდა მოიცავდეს, რაც თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით, 21-ე საუკუნეში, ძალიან პრინციპულია. იმის მიხედვით, ზოგადად, რა სფეროს მოიცავს ეს კონტროლი და მომავალში, როგორ გაფართოვდება იგი, არ ვიცით, ინსპექტორს შსს-ს მოქმედებებზე წინასწარი თუ პოსტკონტროლის საშუალება ექნება. შესაბამისად, ინსპექტორის უფლებამოსილებები ამ ნაწილში დასაკორექტირებელია, რათა მისი ფუნქცია მხოლოდ გასაღების ჩართვა-გამორთვა არ იყოს. ვთქვათ, გაიცა სასამართლოს ბრძანება მოსმენაზე. მაკონტროლებლის ვალია, დაასაბუთოს, რომ მოსმენის კანონიერი საფუძველი არსებობს და შსს-ს მხოლოდ ამის მერე მისცეს ელექტრონულ სისტემასთან წვდომის საშუალება. იგივე მიდგომა უნდა არსებობდეს პროკურატურასთან მიმართებაში, რადგან პროკურორსაც შეუძლია მოსმენებზე ბრძანების გაცემა. უნდა შევთანხმდეთ მთავარ პრინციპზე — ქვეყანაში არავის არცერთი წუთი უკანონოდ არ უნდა უსმენდნენ“.**

ასე დასრულდა „მოსმენების“ კანონის მოსმენა ორ კომიტეტში, გაკეთდა რამდენიმე გულწრფელი განცხადება, რომ თამარ კორძაია, რესპუბლიკელები და თავისუფალი დემოკრატები მხარს ვახტანგ ხმალაძის პროექტს დაუჭერენ, მოვლენების ეპიცენტრმა კი თბილისიდან ქუთაისში გადაინაცვლა, სადაც 26 ნოემბერს დეპუტატები ორივე კანონპროექტს პლენარულ სხდომაზე გაიტანენ განსახილველად.

ლიბერთი ბანკმა, 5 წლის იუბილესთან დაკავშირებით, წამახალისებელი აქციები გამართა

იღბლიან გამარჯვებულებს Apple-ის მობილური ტექნიკა გადასცეს

ლიბერთი ბანკი უკვე 5 წლისაა. ამ ხნის განმავლობაში, ბანკმა ბევრი ინოვაციური პროდუქტი და მომსახურების ახალი არხი შექმნა. იუბილესთან დაკავშირებით კი, მომხმარებელს წამახალისებელი აქციები შესთავაზა, რომელიც 19 სექტემბერს დაიწყო და 19 ოქტომბერს დასრულდა. დამატებით გაიმართა Facebookკონკურსი, რომელიც 20 ნოემბერს დასრულდა. აქციების ფარგლებში, ათი იღბლიანი მომხმარებელი დასაჩუქრდა.

2009 წლის სექტემბერში, ახალი ინვესტორისა და მენეჯმენტის ახალი გუნდის მოსვლის შემდეგ, ბანკის რებრენდინგი განხორციელდა და ბაზარზე, სს ლიბერთი ბანკი გამოჩნდა. მას შემდეგ, ბანკში ბევრი მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა, რის შედეგადაც ბანკთა შორის რეიტინგში, ლიბერთიმ მეშვიდე ადგილიდან, მესამეზე გადაინაცვლა.

საქართველოს საბანკო სექტორთან შედარებით, ლიბერთი ბანკი უფრო სწრაფი ტემპებით იზრდება. 2009 წლის სექტემბრიდან 2014 წლის სექტემბრამდე, ბანკის აქტივები 453.4%-ით, ხოლო საბანკო სექტორის აქტივები — 142.7%-ით გაიზარდა. გარდა ამისა, ლიბერთი ბანკის მთლიანი სესხები 710.6%-ით გაიზარდა, ხოლო იგივე მაჩვენებელი საქართველოს საბანკო სექტორისთვის — 124.0%-ს შეადგენდა. აღსანიშნავია კლიენტთა დეპოზიტების ზრდის ტემპიც, რადგან ლიბერთი ბანკში ეს მაჩვენებელი 769.3%-ით გაიზარდა, ხოლო საბანკო სექტორში მხოლოდ — 206.5%-ით. ლიბერთი ბანკი 1 500 000-მდე ფიზიკურ პირსა და 95 000-ზე მეტ იურიდიულ პირს ემსახურება. ბანკს საქართველოში მომსახურების ყველაზე ფართო ქსელი აქვს. თუ 2009 წლის სექტემბერში, ბანკის მთლიანი აქტივები 278 000 000 ლარს შეადგენდა, 2014 წლის ივნისში — 1 471 000 000 ლარი იყო, ანუ ბანკის მთლიანი აქტივები 5.3-ჯერ გაიზარდა.

2014 წლიდან მოყოლებული, ლიბერთი ბანკმა მნიშვნელოვნად გაზარდა საბაზრო წილები მთლიანი აქტივების, ფიზიკური პირების სესხების, მთლიანი დეპოზიტებისა და ფიზიკური პირების დეპოზიტების მიხედვით.

2009 წლის სექტემბერში, ლიბერთი ბანკის წმინდა სესხები 77 000 000 ლარს შეადგენდა, ხოლო 2014 წლის ივნისში — 671 000 000 ლარს, ანუ 8.7-ჯერ გაიზარდა. 2009 წლის სექტემბერში, ბანკის დეპოზიტები 155 000 000 ლარი იყო, ხოლო 2014 წლის ივნისში 1 293 000 000 ლარს გაუტოლდა, ანუ 8.3-ჯერ გაიზარდა.

რაც შეეხება 5 წლის იუბილესთან დაკავშირებულ წამახალისებელ აქციებს, ათი იღბლიანი გამარჯვებული უკვე გამოვლინდა. პრიზები გადაეცათ:

1. **ონლაინგანვადების ყოველ მეასე მომხმარებელს — გამოვლინდა 2 გამარჯვებული;**
2. **SmartPAY მომსახურების გამოყენებით, ყოველ მეათასე მსესხებელს — გამოვლინდა 2 გამარჯვებული;**
3. **მობილური ბანკის აპლიკაციის გამოყენებით, ყოველი მეათასე ტრანზაქციის ავტორს — გამოვლინდა 4 გამარჯვებული;**
4. **ლიბერთი ბანკის სწრაფი გადახდის აპარატებით შესრულებული ყოველი მეხუთიათასე ტრანზაქციის ავტორს — გამოვლინდა 1 გამარჯვებული;**
5. **Facebook კონკურსის გამარჯვებულს — გამოვლინდა 1 გამარჯვებული.**

იღბლიან მომხმარებლებს საჩუქრად Apple-ის მობილური ტექნიკა გადასცეს. მსგავს წამახალისებელ აქციებს ლიბერთი ბანკი ახლო მომავალშიც გეგმავს. დამატებითი დეტალები წამახალისებელი აქციის შესახებ ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: https://libertybank.ge/5years/

მაია მიშელაძე
593-51-90-12

დარღვევები აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში

„ვერსია“ აუდიტის სახელმწიფო სამსახურის მიერ შემოწმებული ანგარიშების გამოქვეყნებას აგრძელებს. აუდიტის სახელმწიფო სამსახურის მიერ მოკვლეული მასალები საქართველოს მთავარ პროკურატურაში უკვე გადაგზავნილია. ანგარიშები სხვადასხვა სამინისტროსა და საბიუჯეტო ორგანიზაციაში, 2011-2012 წლებში გამოვლენილ დარღვევებს ეხება. ამჯერად, „ვერსია“ აუდიტის სახელმწიფო სამსახურის მიერ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2012 წლის 1 იანვრიდან, 2012 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში ჩატარებულ აუდიტორულ შემოწმებას განიხილავს.

ხარვეზებით ჩატარებული ტენდერები, არასწორად შედგენილი ბიუჯეტი და თანამშრომელთა პრემიებისთვის გაზრდილი სახელფასო ხარჯი

დარღვევები ელექტრონულ შესყიდვებში

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, ჯანმრთელობის დაცვის მიზნობრივი პროგრამების გასატარებლად, სამედიცინო დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მონიტორინგს, პროგრამების მართვისა და მონიტორინგის განყოფილება ახორციელებს. მისი სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ინსპექტირების აქტი, ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს დარიცხვის საფუძველია. ინსპექტირების აქტების შესაბამისად, ცალკეულ სამედიცინო დაწესებულებებზე, გამოყენებულია ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის დადგენილი სანქციები. არადა, სხვა იდენტურ შემთხვევებში, სათანადო დასაბუთების გარეშე, სახელშეკრულებო პირობების უგულებელყოფით, პირგასამტეხლო არცერთი სუბიექტისთვის არ დაუკისრებიათ. ამით ბიუჯეტმა 13 084 700 ლარის შემოსავალი დაკარგა.

სამინისტროს აპარატმა, ხუთ წელზე მეტი წლოვანების, ოთხი ერთეული ავტოსანტრანსპორტო საშუალების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების მიზნით, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით, შპს „ირბათ — ფ.ნ“-ს ხელშეკრულება გაუფორმა. გაწეული მომსახურების ღირებულება და სამინისტროს საკასო ხარჯი 15 975 იყო, საიდანაც 10 384 ლარის მომსახურება ხელშეკრულებით საერთოდ არ ყოფილა გათვალისწინებული. მომსახურების თითოეული პუნქტის ფასი განისაზღვრა მხარეთა ზეპირი ურთიერთშეთანხმებით. მომსახურება მესამე პირებმა, ანუ ქვეკონტრაქტორებმა განახორციელეს, თუმცა შესაბამისი შეთანხმება არ გაფორმებულა. გარდა ამისა, სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულება სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ საჯარიმო სანქციებს არ ითვალისწინებს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ ეს შესყიდვა მაღალი რისკის შემცველი იყო.

საჯარო სამართლის იურიდიული პირმა — სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის ცენტრმა“, მოსახლეობის ავადობის აქტიური გამოვლენის პროგრამის ფარგლებში, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით, ხელშეკრულება გაუფორმა შპს „ბათუმის 1 პოლიკლინიკას“. ხელშეკრულებით, მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელებულიყო გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, 2012 წლის 31 დეკემბრამდე. აუდიტის შედეგად დადგინდა, რომ მიმწოდებელმა გეგმა-გრაფიკით დადგენილ ვადებში ვალდებულებები არ შეასრულა, მაგრამ ცენტრმა მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციები მაინც არ დაუწესა. არადა, პირგასამტეხლოს სახით, მიმწოდებელს 1 782 200 ლარი უნდა გადაეხადა.

სააუდიტო პერიოდში, სამინისტროს აპარატის ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე საწვავის გაცემა ხორციელდებოდა ტალონური სისტემით. ტალონების შენახვასა და გაცემაზე უფლებამოსილ პირთან, მატერიალურ პასუხისმგებლობაზე ხელშეკრულება არ გაფორმებულა. რიგ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე გაწეული საწვავის დანახარჯი, გავლილი მანძილისა და ცვეთის გათვალისწინებით, მწარმოებლის მიერ განსაზღვრულ ნორმებს არ შეესაბამება. ავტოსატრანსპორტო საშუალებას ნახევარ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში სარემონტო სამუშაოები უტარდებოდა და სწორედ ამ პერიოდში, საწვავის თვის ლიმიტი სრულად აითვისეს.

სამინისტროს შიდაკონტროლის სისუსტეები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში სუსტი კონტროლის გამო, უწყების ფუნქციონირებაში სხვადასხვა სახის ნაკლოვანებები გამოიწვია. სამინისტროს აპარატმა სამედიცინო დაწესებულებების ინვენტარით აღჭურვისთვის გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერზე, სამედიცინო მოწყობილობების სავარაუდო ღირებულება ისე განსაზღვრა, რომ ბაზარი კვალიფიციურად არ შეუსწავლია. პროგრამის თანახმად, ერთი ერთეული დეფიბრილატორის სავარაუდო ღირებულება 3 500 ლარით განისაზღვრა, ხოლო კარდიოგრაფის — 1 300 ლარით, მაგრამ ეს ფასები სატენდერო დოკუმენტებში არ აუსახავთ. ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ, შპს „სენტინელი ჯი ემ ჯიმ“, ტექნიკური პირობების შესაბამისად, შემსყიდველს მისაწოდებელი საქონლის შესახებ ინფორმაცია და სერტიფიკატები წარუდგინა. სერტიფიკატების თანახმად, კომპანიას Vcomin Technology Limited-ის წარმოებული სამედიცინო მოწყობილობები უნდა შეეძინა, მაგრამ მოგვიანებით სხვა კომპანიის, კერძოდ All Pro corporation-ის პროდუქცია შეიძინა. ინსტრუქციის თანახმად, დეფიბრილატორის დამუხტვის დრო 7 წამზე ნაკლები, ხოლო აკუმულატორის სრული დამუხტვის დრო 3.5 საათია. სატენდერო წინადადების თანახმად კი, დამუხტვის დრო 4.5 წამი, ხოლო აკუმულატორის დამუხტვის დრო — 3 საათი უნდა ყოფილიყო. სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ სახეზეა განსხვავებული მახასიათებლების მქონე, სხვა კომპანიის მიერ წარმოებული საქონლის მიღება-ჩაბარება, რომლის ხარისხთან შესაბამისობა, წარდგენილი დოკუმენტების მიხედვით, ვერ დასტურდება.

ამბულატორიული ტრავმატოლოგიური დახმარების კომპონენტის ფარგლებში, შპს „ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ მიერ, ორი და მეტი კოდით განხორციელებული სამედიცინო მომსახურების ტესტირებით დადგინდა, რომ 34 შემთხვევაში, ბენეფიციარებმა ვაუჩერების პირობებით სრულად ვერ ისარგებლეს, რის გამოც სამედიცინო მომსახურების ღირებულების ნაწილი გადაიხადეს. მეტიც, სახელმწიფო აუდიტორებმა ისეთი ფაქტებიც გამოავლინეს, როდესაც ერთსა და იმავე სამედიცინო დაწესებულებაში, როგორც პაციენტმა (ბენეფიციარმა), ასევე სამინისტრომ ორჯერ აანაზღაურეს სამედიცინო მომსახურება. გამოვლინდა სამედიცინო დაწესებულების მიერ, სამინისტროსთვის თანხის ზედმეტად მოთხოვნის ფაქტებიც.

სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების კომპონენტის მიხედვით, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ თხილვანის სამედიცინო პუნქტის ექიმი ვალდებულია, შესაბამისი სამედიცინო მომსახურება გაუწიოს პაციენტებს. კომპონენტის სახელწოდება სრულად არ შეესაბამება განსახორციელებელი პროექტის შინაარსს, რადგან კომპონენტის თანახმად, სამედიცინო მომსახურების მიწოდებაზე გადახდილი თანხა, ხელფასი, დაფინანსებულია „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლიდან. გარდა ამისა, სამედიცინო მომსახურების მიწოდებაზე გაფორმებული ხელშეკრულებები, შინაარსით, სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებია. სამინისტროს აპარატის მიერ, ფარმაცევტული პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერზე, შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ პარამეტრებში კონკრეტული სასაქონლო ნიშნები, ანუ დასახელებებია მითითებული. სახელმწიფო აუდიტებმა დაასკვნეს, რომ ამით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-12 პრიმა მუხლის მე-6 პუნქტი დაირღვა.

თემის სამედიცინო პუნქტების ექიმამდელი სამედიცინო დახმარების განვითარების ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში, ხელშეკრულებებისა და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გაფორმების გარეშე, თემის სამედიცინო პუნქტებში მომუშავე მედდებზე „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით გადარიცხულია 29 500 ლარი. პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება და მიზანი შეუსაბამობაშია სამინისტროს მიერ განხორციელებულო დაფინანსების ფორმასთან. კომპონენტის თანახმად, შერჩეულ სამედიცინო პუნქტებზე უნდა ჩატარებულიყო რეაბილიტაცია, აღჭურვა ან ახალი სამედიცინო პუნქტი აშენებულიყო. სახელმწიფო აუდიტებმა გაარკვიეს, რომ ამ პროექტით გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაცია სამინისტროს წინასწარ მომზადებული არ ჰქონდა.

რესურსტევადი მაღალტექნოლოგიური (გულის ქირურგიის) სამედიცინო მომსახურების კომპონენტის ფარგლებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული და ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შესრულების, აღრიცხვის, ანგარიშგებისა და ანაზღაურების წესის თანახმად, ბალონური ანგიოპლასტიკის შემთხვევაში, მომსახურების ღირებულებას აკლდება სტენტის ღირებულება. წესი არ ითვალისწინებს შემთხვევას, როცა ანგიოპლასტიკა ბალონის გამოყენების გარეშე ხორციელდება. შპს „ჯანმრთელობის ცენტრი მედინას“ მიერ, სახელმწიფო აუდიტებისთვის წარდგენილი მომსახურების ტარიფების მიხედვით დადგინდა, რომ ასეთ შემთხვევებში სრულად ფინანსდებოდა ნოზიოლოგიური ჯგუფისთვის დადგენილი ტარიფი, ანუ ბალონის ღირებულება არ გამოუკლიათ. გამოუყენებელი ბალონის თანხა კი პირდაპირ გადაანაწილეს ხარჯებსა და მოგებაზე.

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით, სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა“ სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო თემატიკით გაფორმებული სუვენირები შეიძინა. მათ შორის, მაისურები, კეპები, სტიკერები, გულსაბნევები... ტენდერის ტექნიკური დოკუმენტაცია ზოგადია, ამიტომ პოტენციური მიმწოდებლისთვის კონკრეტული საქონლის იდენტიფიკაცია რთულია. იგივე პრობლემაა თემატურ-საგანმანათლებლო ღონისძიებების — კონკურსის, კონფერენციის, ფესტივალისთვის, სახელმწიფო შესყიდვების მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერებზეც. ამ ტენდერების ტექნიკური დოკუმენტაციის პარამეტრებითა და მომსახურების პირობებით, გასაწევი მომსახურების შინაარსი ვერ დგინდება.

სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტომ“, არაეფექტური დაგეგმვისა და სათანადო რესურსების არარსებობის გამო, სრულყოფილად ვერ განახორციელა პროგრამა, რომლის ფარგლებშიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები ეკომიგრანტები და იძულებით გადაადგილებული პირები პროფესიულად უნდა გადაემზადებინათ. აქედან გამომდინარე, გრანტის სახით მიღებული 25 000 ლარიდან, აუთვისებელი 12 500 ლარი, საგენტომ გრანტის გამცემს დაუბრუნა.

საბიუჯეტო დარღვევები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აპარატის შრომის ანაზღაურების დამტკიცებული ბიუჯეტი 1 800 000 ლარს შეადგენდა, რომელიც წლის განმავლობაში 208 100 ლარით გაიზარდა და 1 208 900 ლარი გახდა. „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული მთლიანი ხარჯიდან — 475 300 ლარი მხოლოდ პრემიის სახით გასცეს. სამინისტროს საჯარო მოსამსახურეებზე, შესაბამისი თვის პრემია — 824 ლარი, გაცემულია იმ პირობებში, როდესაც ეს პირები მთელი თვის განმავლობაში სარგებლობდნენ ანაზღაურებადი შვებულებით. სახელმწიფო აუდიტებმა ისეთი შემთხვევებიც გამოავლინეს, როდესაც თვის განმავლობაში, საჯარო მოსამსახურე სამსახურებრივ უფლებამოსილებებს ახორციელებდა მხოლოდ ერთი სამუშაო დღის მანძილზე, თუმცა შესაბამისი თვის პრემია გაცემულია თანამდებობრივი სარგოს სრული, ან ნახევარი ოდენობით.

სამინისტროს ნაერთი ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები სრულყოფილად და სათანადოდ არ ასახავს ამ უწყებისა და მის კონტროლს დაქვემდებარებული დაწესებულებების ფინანსურ მდგომარეობას. 2012 წელს, ძირითადი საშუალებების რვა პოზიციაზე, სამინისტროს აპარატმა საბიუჯეტო დაწესებულებებს ცვეთის შემცირებული ნორმები დაარიცხა; დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების მქონე პირებთან ურთიერთშედარებები არ განახორციელა; დადგენილი წესით, ხელშეკრულება არ გააფორმა მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან, თუმცა ინვენტარიზაციის მასალებში მატერიალურად პასუხისმგებელი პირები მითითებულია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის ბიუჯეტით, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სრული დაფინანსება 6 203 700 ლარით განისაზღვრა. მიზნობრივი პროგრამების ჩათვლით, სამინისტროს აპარატი — 5 364 000 ლარით, სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი — 543 900 ლარით, ხოლო სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო“ — 295 800 ლარით დაფინანსდა. წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილების შედეგად, სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი დაწესებულებების 2012 წლის ბიუჯეტის წლიური გადასახდელების დაზუსტებული გეგმა 1 299 300 ლარით გაიზარდა და 7 503 000 ლარი შეადგინა. მიზნობრივი პროგრამების გარეშე, სამინისტროს აპარატის დაფინანსება — 1 181 100 ლარით, სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ დაფინანსება — 31 500 ლარით, ხოლო სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს“ დაფინანსება — 34 200 ლარით გაიზარდა.

სამინისტროს საქმიანობის ამოცანებისა და კომპეტენციის გათვალისწინებით, სახელმწიფო აუდიტებმა საბიუჯეტო ცვლილებები არაეფექტურად შეაფასეს, რადგან მათ შედეგად, შრომის ანაზღაურების მუხლით გასაწევი, ანუ სახელფასო ხარჯები 208 100 ლარით გაიზარდა. გაზრდილი სახელფასო ხარჯი კი თანამშრომლების პრემიებს მოხმარდა. რაც შეეხება არაფინანსური აქტივების ბიუჯეტს, 2012 წელს, 46 000 ლარით გაიზარდა, რომლითაც სამინისტროსთვის ავტომანქანა შეიძინეს.

სამინისტროს მთლიანი საკასო ხარჯი 7 684 600 ლარი იყო, საიდანაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მიღებული დაფინანსებით გაწეული საკასო ხარჯი 430 400 ლარს შეადგენდა. სამინისტროს დაზუსტებული ბიუჯეტი 97%-ით შესრულდა, სამინისტროს აპარატის ბიუჯეტი — 95.4%-ით, სსიპს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ბიუჯეტი — 99.4%-ით, ხოლო სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს“ ბიუჯეტი — 95.7%-ით. ბიუჯეტის შესრულების მაღალი პროცენტი წლის ბოლოს განხორციელებულმა ცვლილებებმა განაპირობა, რომლითაც საკასო მონაცემების გათვალისწინებით, საბიუჯეტო გეგმა დაკორექტირდა.

პატიმარი №0578

ჰიგიენა ბერძნული სიტყვაა და ჯანმრთელობის მომტანს ნიშნავს. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში კი ყველაზე დიდი პრობლემა სწორედ ჰიგიენაა. რაც უნდა ეცადო, ციხეში არსებულ სპეციფიკურ სუნს, ვერაფერს უხერხებ და როცა ოჯახის წევრებს გასარეცხად ტანსაცმელს ატან, გეუბნებიან, რაღაც, მძაფრი, მომწარო სუნი უდისო. არადა, ამ დროს მაქსიმალურად ცდილობ „ჯანმრთელობის მომტანი“ დაიცვა...

წინა ხელისუფლების პირობებში, გლდანის ციხე ამქვეყნიური ჯოჯოხეთი იყო. პატიმარი №0578 ციხეში მოხვედრიდან მესამე დღეს მიხვდა, რას ნიშნავდა იქაური აბანო. „ყურადღებით მომისმინე — კვირაში ერთხელ გვიწევს ბანაობა. მაქსიმალურად სწრაფად უნდა ვიბანაოთ. ექვსი „დუშია“, ჩვენ კი რვანი ვართ. ზუსტად ათი წუთი გვაქვს გასახდელად, საბანაოდ და ჩასაცმელად. ამიტომ, დროში რომ ჩავეტიოთ, ნახევრად გახდილები გავდივართ. თუ არა, გასაპნული დარჩები და კამერაში მოგიწევს ცივი წყლით საპნის მოცილება. „დუშში“ მაშინვე არ შევარდე, ჯერ ნახე, როგორი წყალი მოდის. შესაძლოა, მუხაძეს მოეხასიათოს და მდუღარე გამოუშვას. ასეთ დროს ვერ ვბანაობთ, ვდგავართ ათი წუთი და მეორე კვირამდე მშვიდობით აბანო“, — პატიმარს თანასაკნელი ლევანი ყველაფერს დეტალებში უხსნიდა.

„კი, მაგრამ რატომ ათი წუთი და რატომ მდუღარე? ესენი ნორმალურები არიან?!“ — გაიოცა პატიმარმა.

„შაბათს ბანაობს მთელი ციხე. დროში უნდა ჩაეტიონ. ჩვენს სართულზე 30 საკანია. თითოში მინიმუმ ექვსი კაცი ზის. 30-ჯერ ათი წუთი, ხუთი საათია. ოფიცრებს ეზიზღებათ ჩვენი გაყვანა-გამოყვანა და ათ წუთზე მეტს არ გვაძლევენ. მდუღარეს რაც შეეხება, ეს ჯოჯოხეთია, ძმაო და კუპრი სჭირდება“.

„მერე, ამხელა თავი რომ გაბია და რამკენს ამტვრევ, პალაჟენია ვერ მოიყვანე, რომ ცოტა მეტი დრო მოგვცენ?!“, — შეეპასუხა პატიმარი №0578.

„მე ის პალაჟენია მოვიყვანე, რომ მდუღარეს სავარაუდოდ არასდროს ჩაურთავენ ამ კამერას. დროის გაზრდაზე კი შენ იზრუნე. დილიდან საღამომდე კანონებით რომ ესაუბრები ამ იდიოტებს“, — გაეღიმა ლევანს.

ნახევარ საათში ბანაობის დრო მოვიდა. აბანოში შესვლისთანავე №0578-ის გარდა, ყველა პატიმარმა სასწრაფოდ გაიხადა და „დუშში“ შევარდა. ახლადმოყვანილი პატიმარი გაოგნებული უყურებდა მეტლახზე დამდგარ სისხლის გუბეს, მერე კი წართმეული ხმით იკითხა — „ეს რა არის?!“

„გუშინ და გუშინწინ კარანტინის დაღლა გქონდა გამოყოლილი და მკვდარივით გეძინა. არ გესმოდა. აბანო ერთადერთი ადგილია გლდანის ციხეში, სადაც კამერა არ აყენია, ამიტომ პატიმრებს აქ სცემენ. ჩვენს საკანს კამერასთან კედელი ყოფს. მთელი ღამე არაადამიანური ხმები ისმოდა, გვეგონა, ვინმე შემოაკვდებოდათ. სისხლი შეგნებულად დაგვახვედრეს, შიში რომ დანერგონ. ახლა იბანავე, თორემ ხუთი წუთი კი გავიდა“, — უთხრა ლევანმა და „დუშში“ შეხტა.

პატიმარმა №0578-მა მშვიდად გაიხადა და დაიწყო ბანაობა. უკვე ყველა პატიმარი ჩაცმული იყო, ის კი მშვიდად ისვამდა საპონს ტანზე, სახეზე კი ზიზღნარევი ღიმილი დასთამაშებდა. აბანოს კარის გაღება დაიწყეს. ლევანმა ჯერ კარს გახედა, მერე პატიმარს, წამის მეასედში გაიხადა და მეორე „დუში“ დაიკავა. ოფიცრები შემოვიდნენ. რომ დაინახეს, დუშის ქვეშ ორი პატიმარი იდგა, აღრიალდნენ — „გამოვიდა, ჩაიცვა, მკიდია თქვენი გასაპნული თავები, დროზე ბლიად, დროზე...“

ლევანმა მშვიდად თქვა, ახალია, დროში ვერ ჩაეტია და ამიტომ გაგვიგრძელდა, ორ წუთში მოვრჩებითო. ოფიცრები მაინც ღრიალებდნენ, ახლავე გამოდითო. №0578 გამოსვლას აშკარად არ აპირებდა. უცებ ერთი ოფიცერი აბანოდან კორიდორში გავიდა. ლევანი დუშიდან გამოვარდა, პატიმარი №0578-იც გამოათრია. მოასწრო — ცივი წყალი გადაკეტეს, მხოლოდ მდუღარე მოდიოდა.

„თუ არ ჩაიცვამ, გცემენ, მეც მიმაყოლებენ და მერე ჩვენი სისხლის ისტორიაზე სხვა საკამერნიკები ისაუბრებენ. დამიჯერე, ახლა და აქ, გმირობის ადგილი არაა, წაგებული ომია, მაგრად გავილახებით“. ორივემ უხმოდ ჩაიცვა.

იმავე ღამეს აბანოში საცემი პატიმრების მორიგი ნაკადი შეიყვანეს. არაადამიანური ხმები გამოდიოდა. მანამდე კი რადიოში პარლამენტარი გია ცაგარეიშვილი ითხოვდა, გლდანის ციხეში სათვალთვალო კამერები აბანოშიც დავაყენოთ, იქ ჯოჯოხეთი ტრიალებსო, მაგრამ ხელისუფლება ჯიუტად აცხადებდა, ეს სხვის პირად ცხოვრებაში ჩარევად შეფასდებაო. „რკინის არგუმენტს“ უცხოელი დამკვირვებლებიც ვერ უპირისპირდებოდნენ.

ერთ თვეში, ბარბარობის დღესასწაულზე, ლევანმა კორპუსის ოფიცერს დაუძახა, ცოტა ხანს ეჩურჩულა, შემდეგ კი გამოაცხადა: „დღეს რეჟიმი დათრობას აპირებს, მერე შემოვლენ და როგორც სხვა დღესასწაულზე ხდება, კამერებს დალეწავენ. კორპუსზე პირველი კამერა ჩვენია. აუცილებლად გააღებენ. ძველებურად, ახლაც მე ვისაუბრებ, ხმა არავინ გაიღოს. თუ ნერვებს არ აჰყვები, შენც ილაპარაკე“, — გახედა ლევანმა №0578-ს.

საღამოს, ციხის ეზოში შემოსულ რეჟიმს, უფროსი, ოლეგ ფაცაცია მოუძღვოდა. ხორხოცზე ეტყობოდათ, გვარიანი მთვრალები იყვნენ. პატიმრებმა ტანზე პირსახოცები შემოიხვიეს და ზედ, რაც ებადათ, ყველაფერი გადაიცვეს.

„თუ გვცემეს, რბილად მოგვხვდება. მაგარი მთვრალები არიან, შეცდომა არ უნდა დავუშვათ, არ გვაპატიებენ“, — ჩუმად თქვა ლევანმა.

საკნის კარი ხმაურით გაიღო. „აბა, არ გინდათ დაგ...ნათ ბაჭიებივით?!“ — იღრიალა ფაცაციამ. ოთახში რეჟიმის ათამდე წარმომადგენელი შემოვიდა. პატიმრები შეჯგუფდნენ, ლევანი და №0578 მათ წინ დადგნენ და მშვიდად იკითხეს — „რა ხდება?!“

„აჰა... ამ კამერის ელიტა... პრისტუპნიკების პრისტუპნიკები. ესენი გარეთ ერთმანეთს არ ინდობენ და ჩვენი გადავლის შანსი რომ ჰქონდეთ, ხომ ხვდები, რას იზამდნენ?! ნახე, რა თვალებით იყურებიან. გინდათ, აბანოში გავიდეთ და ერთი-ერთზე გავარტყათ? თუ მომერევით, ვინც რამე თქვას, იმ ოლეგას დედაც“, — თქვა ფაცაციამ.

ჯოჯოხეთი ციხის აბანოებში

სად, როგორ ბანაობდნენ „მაყურებლები“ და „ქათმები“ და რაფომ იდგა ზონის საშხაპეებში სისხლის გუბეები

პატიმარ №0578-ს სახე აეჭრა და მიახალა, „გავიდეთ!“ მეგობარს ლევანიც გაჰყვა. აბანოს კარი გარედან მიუკეტეს. მიხვდნენ მეგობრები, მწარედ მოტყუვდნენ — მათ კამერაში კი უბედურება ტრიალებდა.

„ოლეგ, შენი დედას შ...“ — პატიმარ №0578-ს ლევანმა ხელი პირზე ააფარა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. აბანოს კარი ხმაურით გაიღო. რეჟიმი შევიდა. ფაცაცია არეული სახით იყურებოდა, ერთ-ერთ ოფიცერს ხელში ელექტროშოკი ეჭირა, დანარჩენებს ხელკეტები. ფაცაციამ ხელქვეითს ელექტროშოკი გამოართვა და ჩუმად თქვა, მარტო დაგვტოვეთ და კარი დაკეტეთო. ოფიცრები უხმოდ გავიდნენ, მაგრამ კარი მხოლოდ ერთ ურდულზე დაკეტეს, საჭიროების შემთხვევაში აბანოში რომ შესულიყვნენ.

„კარგად მომისმინეთ. რაღაცის გამოსწორებას ცდილობთ, არაფერი გამოგივათ. არ ვართ კამიკაძეები და სხვა კამერებშიც იკითხეთ, მართლა სერიოზულ ხალხს, პრისტუპნიკი იქნება თუ რიგითი პატიოსანი კაცი, ხელს არ ვაკარებთ. აქ ფსიქოლოგია შეცვლილია. წინა დღეს სასამართლოზე მიმყავდა ტიპი. ხომ იცით, ამ დროს ჩაიხადა-ჩაჯდას ვეუბნებით. ამერია და ჩაიხადა-წაიკუზა-თქო ვუთხარი და იცი რა ქნა?! ჩაიხადა და წაიკუზა. 60 წლამდე კაცი იყო. რაღაც საბუთებზე იჯდა. ეგ არის რა... ფსიქოლოგიურად მასა ყველაფრისთვის მზადაა და ერთ დღეს შეიძლება ისეთ ხასიათზე დაგხვდეთ, არავინ და არაფერი დავინდო. კაცის სიცოცხლეს აქ ზუსტად ამის ფასი აქვს“, — თქვა ოლეგმა და სიგარეტის ნამწვი დემონსტრაციულად მოისროლა. ციხიდან ზონაზე წასვლის ბოლო დღემდე აბანო გლდანის ჯოჯოხეთის კუპრის ქვაბად რჩებოდა და თუ ვინმეს რამე დაემართა, სწორედ აბანოში...

* * *

რუსთავის №17 ზონაში გადაყვანის პირველივე დღეს, პატიმარმა №0578-მა აბანო მოიკითხა. „როცა ზონა იღება, იღება აბანოც. სულ 24 დუშია. წესით, ეს 3000 პატიმრისთვის ძალიან ცოტაა, მაგრამ ადგილი ყოველთვისაა, რადგან ყოველ დღე თითოზე ჩამოსათვლელი პატიმრები ბანაობენ. 24-დან ერთი ქათმების დუშია, სადაც ზონა რომ იკეტება, ქათმები მაშინ ბანაობენ. ერთი დუში მაყურებლებისაა. დანარჩენი საერთო. მაყურებლების დუში, აბანოში, ხელმარჯვნივ პირველია. ქათმების — ბოლო. გინდა ყოველ დღე იბანავე, გინდა კვირაში ერთხელ, გინდა სულ არ იბანაო. აქ ასეთებიც არიან“, — უთხრეს თანასაკნელებმა.

მეორე დღეს პატიმარი აბანოში ჩავიდა. ცარიელი მხოლოდ ხელმარჯვნივ პირველი დუში იყო და იქ შევიდა. გაოცებულმა პატიმრებმა შეხედეს, მაგრამ არაფერი უთქვამთ. მალე აბანოში ქუთაისის რეგიონის მაყურებელი შემოვიდა და უცხო კაცი რომ დაინახა, ჰკითხა — „ვინ ხარ, ძამია, შენ?!“ „პატიმარი №0578“. „და არ გითხრეს, ეს მაყურებლების დუშიაო?!“ „მითხრეს, მაგრამ ყველა დაკავებული იყო — ეტა რაზ. როგორც ვიცი, ზონაზე შენი კბილის ჯაგრისი, პირადი მოხმარების ნივთები და საცვლებია პირადი, დანარჩენი ყველაფერი ობშია — ეტა დვა და ტერმინი „მაყურებლების დუში“ ვინ მოიგონა, რომ გამოვალ, იმ კაცს მანახებ — ეტა ტრი“, — უთხრა პატიმარმა.

ქუთაისელმა გახდა გადაიფიქრა, აბანოდან გავიდა და დაიბარა, რომ მორჩები, მაყურებლების საკანში შემოდიო. პატიმარი №0578 მაყურებლების საკანს ნახევარ საათში ეწვია.

„აგია სიმონ ის ტიპი“, — თქვა ქუთაისის რეგიონის მაყურებელმა, მაგრამ №0578-ს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია, ზონის მაყურებელს ღიმილით მიესალმა, გადაეხვია, შემდეგ პალაჟენეცი მოიკითხა და როცა ის მოვიდა, ერთმანეთს მხრებზე ხელს კარგა ხანს უტყაპუნებდნენ. ბოლოს, №0578-მა დაიწყო: „არაა მართებული, რომ მაყურებლების ერქვას აბანოში კონკრეტულ დუშს. ხმამაღლა ალბათ ვერავინ გიბედავთ თქმას, მაგრამ ბევრია უკმაყოფილო. ხალხი რიგში დგას და თქვენი დუში ცარიელია. იბანაოს ყველამ და თქვენ როცა შეხვალთ, კი გაიწევა ის კაცი გვერდზე მაქსიმუმ ხუთ წუთში, ასე უფრო მართებული იქნება და დუშის გამო მაინც არ იქნებიან უკმაყოფილოები...“

„და კიდევ რით არიან უკმაყოფილოები, სიმონ?!“ — ჰკითხა ქუთაისის რეგიონის მაყურებელმა, რომელიც აშკარად გაბრაზებული იყო, რადგან საცემრად შეგულებული კაცი ზონის „ბლატატას“ ძმაკაცი აღმოჩნდა.

„თუნდაც იმით, რომ რუსთავის პირველ ზონაში თვეში ერთხელ გრევის სახით ორი ლარის სიგარეტი გროვდება, აქ კი ექვს ლარამდე ხართ ასული. თქვენი გადასაწყვეტია. არ ვერევი, მაგრამ მაინტერესებს, რა გარანტია გაქვთ, რომ ზონის დაკეტვის შემდეგ, ყველა დუშში ქათმები არ ბანაობენ?! კი შემოუხაზეთ ერთი ადგილი, მაგრამ ვინ აკონტროლებს?!“ — იკითხა პატიმარმა.

„გრევის ამბავს ჩვენ გავარკვევთ. რაც შეეხება კონტროლს, ღამე ვამოწმებთ, იმ ადგილის გარდა სხვა დუშის ქვეშ სისველე თუ არის, შეიძლება ზონაზე ბუნტი დაიწყოს. ასე რომ, მშვიდად იყავი. გლდანში მარტივად იყო ეგ დალაგებული, ქათმები სხვა კორპუსზე იყვნენ და იქვე ბანაობდნენ“ — აუხსნა მაყურებელმა.

„გლდანში აბანო ჯოჯოხეთი იყო და აქაც ასეა? ცემა-ტყეპა მოსულა აქაც?!“

„ეს ზონაა, ძმაო. პატიმარს თუ სცემენ, მაშინ უნდა გაკრიტონ, თორემ ხომ ხედავ, დღის განმავლობაში ოფიცრები ჩვენს გვერდით დადიან და გამწარებულმა პატიმარმა კამერაში რომ შეიწოვოს, თავზე ადიელა გადააფაროს და დაშტიროს, ვინ არის პატრონი?! ცემა-ტყეპა მოსულა, მაგრამ აბანოში გაყვანა არა“.

„და მარტო ცხელი წყლის გამოშვება მოსულა?! გლდანში ესეც იყო...“

„ეგ ჰო. ლაშა ბრეგვაძე ხანდახან იტყვის, რაღაც გაფუჭდაო და ზამთარში მხოლოდ ცივ წყალს უშვებს, ზაფხულში — მდუღარეს. ეს მაქსიმუმ 3-4 დღეს გაგრძელდეს...“

„კამერებში, რამდენიმე პარაშაში აბანოსავით რაღაც აქვთ მოწყობილი და თუ აბანო სულ ღიაა, რად უნდათ? დავიჯერო, ჰიგიენის ასეთი მოყვარული ხალხი ზის, დღეში რამდენჯერმე ბანაობს?!“

„ჰოოო.... ეგ ცოტა რთული თემაა. აბანოში ყველა არ დადის. დაახლოებით ოც პროცენტს ამის კომპლექსი აქვს. ანუ ვიღაცას მოკლე აბია, ვიღაცას კიდევ ლამაზი უკანალი აქვს და კომპლექსდებიან ბიჭები!.. აი, შენს კამერაში რომ შოთაა, დააკვირდი როგორი გამოყვანილი უკანალი აქვს. ეგ აბანოში არასდროს ჩამოდის, კამერაში ბანაობს. არავინ არაფერს აკადრებს, მაგრამ ღადავს დაუწყებენ, რა ლამაზი ტრაკი გაქვსო და უტყდება. არადა, მართლა ლამაზია, ქალებზეც კი იშვიათად მინახავს“, — გაეღიმა მაყურებელს და დანარჩენებმაც კვერი დაუკრეს.

„და ვის როგორი სიგრძე აქვს, საიდან ადგენთ?!“

„ეგეც მარტივია. კაცი 5 წელი რომ ზის, არაფერი უვარგა და აბანოში საერთოდ რომ არ არის ნამყოფი, რისი ბრალია? მოკლე აქვს და უტყდება. არის კიდევ ერთი ვარიანტი — ვიღაცა უკანალშია დაჭრილი, შრამი აქვს და არ უნდა, ვინმემ დაინახოს, ბოზური შრამია ეგ“, — დაასრულა მონოლოგი მაყურებელმა.

პატიმარი №0578 კამერაში აბრუნდა. შოთა რომელიაო, იკითხა. დაახლოებით 30 წლამდე ბიჭმა, მე ვარო, მიუგო. პატიმარმა ხელი ჩამოართვა, ძალიან კარგიო. მართლაც, შოთა აბანოში არ დადიოდა, რაც შეეხება მის უკანალს... საბედნიეროდ, №0578 იმდენ ხანს არ მჯდარა, კაცის უკანალი მოსწონებოდა.

ვერსიანიუსი

შსს-მ ნარკოტიკული საშუალების ლაბორატორია დააკავა

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის პირველი მთავარი სამმართველოს მესამე სამმართველოს და ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს მარნეულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ერთობლივად ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1967 წელს დაბადებული ილდიზარ მ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ბრალდებით მარნეულის რაიონის სოფელ ყიზილაჯლოში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი და დროებითი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას 58,2080 გრ ნარკოტიკული საშუალება ოპიუმი ამოიღეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ილდიზარ მ. ნარკოტიკულ საშუალებას პერიოდულად ყიდდა. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლით მე-3 ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

„ჩიხში ვართ!“

გაითვალისწინებს თუ არა ნაციონალების რჩევებს და რა რეჟიმში აპირებს რუსეთთან ურთიერთობას ხელისუფლება

რუსუდან შელია
557-100-768

აფხაზეთსა და რუსეთს შორის შეთანხმების პროექტს რუსეთისა და ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ ხელი უკვე მოაწერეს. სანაცვლოდ პუტინი აფხაზეთს 2015 წელს 5 მილიარდი რუბლის გამოყოფას დაპირდა. ამ დროს ქართული მხარე დახმარებას საერთაშორისო ორგანიზაციებს სთხოვს და ე.წ. ხელშეკრულების დაგმობისკენ მოუწოდებს. ისინიც გმობენ — ამბობენ, რომ რუსეთი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას არღვევს, რომ ამ ხელშეკრულებას არ აღიარებენ და კრემლს მოუწოდებენ, საქართველოს ტერიტორიიდან ჯარები გაიყვანოს. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ქვეყნის ტერიტორიის დაკარგვის გაფორმებას არ დაუშვებენ და ყველა ბერკეტს გამოიყენებენ, რათა უფრო მეტი ინფორმაცია მიაწოდონ მსოფლიოს. ნაციონალური მოძრაობა კი ხელისუფლებას საერთაშორისო სასამართლოებში რუსეთის წინააღმდეგ სარჩელის მომზადებას, გაერო-ში უშიშროების საბჭოს სხდომის ჩატარებასა და აბაშიძე-კარასინის მოლაპარაკების გაუქმებას სთხოვს. საგარეო საქმეთა მინისტრმა, თამარ ბერუჩაშვილმა გაერო-ში უშიშროების საბჭოს სხდომის ჩატარება უკვე მოითხოვა, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გიორგი ვოლსკი კი საერთაშორისო დონეზე სარჩელების მომზადებას არ გამორიცხავს, თუმცა რუსეთთან მოლაპარაკებებს მაინც უალტერნატივოდ მიიჩნევს. საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გიორგი ვოლსკი „ვერსიასთან“ აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებს აფასებს.

— აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ წარმოდგენილ პროექტში ხაჯიმბა იძულებული გახდა, გარკვეული პუნქტები სწორედ აფხაზების მოთხოვნით შეეცვალა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ აფხაზი მოსახლეობის მოთხოვნები სრულად გაითვალისწინა. მოსკოვი ფიქრობს, ისინი უკვე დაიმორჩილა, მაგრამ ასე არ არის! ხაჯიმბაც დარწმუნებულია, რომ მოსკოვმა აფხაზურ საზოგადოებაში კონსენსუსს მიაღწია, მაგრამ არც ეს შეესაბამება რეალობას. იმის გამო, რომ აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფო არ არის და საქართველოს განუყოფელი ნაწილია, ასევე საერთაშორისო სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე, თავად პროექტიც იურიდიული ნონსენსია! ესაა კავკასიაში რუსული პოლიტიკის ნაწილი, რომელიც საერთაშორისო სტაბილურობას საფრთხეს უქმნის.

— ამ საფრთხეს საქართველოს ხელისუფლება ადეკვატურად რატომ არ პასუხობს?

— საქართველოს პარლამენტმა ჯერ უკრაინის შესახებ მიიღო რეზოლუცია, შემდეგ კი საკმაოდ მნიშვნელოვანი განცხადებები გაკეთდა რუსეთის მხრიდან აფხაზეთის ანექსიის მცდელობაზეც. სხვათა შორის, ამ ქმედებებს საერთაშორისო ასპარეზზე დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ბრიუსელში პრემიერის ვიზიტმაც დაადასტურა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობისთვის საქართველოს საკითხი არათუ მეორეხარისხოვანია, როგორც ნაციონალური მოძრაობა აცხადებს, არამედ მნიშვნელოვანია.

— მაშინ რატომ ვერ გაუწიეთ რუსეთს წინააღმდეგობა?

— საერთაშორისო თანამეგობრობის გარდა, ბრძოლის სხვა ბერკეტი არ გაგვაჩნია. წინა ხელისუფლებამ კარგად იცოდა რუსეთის გეგმების შესახებ, ამიტომ შეცდომის დაშვების უფლება არ ჰქონდა, მაგრამ არათუ შეცდომა დაუშვა, არასწორი ხედვებისა და სტრატეგიის გამო, რუსეთის მიზნების განხორციელებას ხელი მაქსიმალურად შეუწყო. ნაციონალური მოძრაობის ნაბიჯები დასავლურ ხედვებს პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა. დღეს ეს ძალა ცდილობს, საკუთარი ცოდვები ხელისუფლებას ჩამოკიდოს.

— აფხაზეთსა და რუსეთს შორის შეთანხმების პროექტის ხელმოწერა თქვენი გუნდის პასუხისმგებლობაა, მით უმეტეს, ხელისუფლება რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას გვპირდებოდა!

— „რუსეთთან ურთიერთობის დალაგება“, — ესეც ნაციონალური მოძრაობის მიერ გამოგონილი ტერმინია. რეალურად, რუსეთთან ურთიერთობის დალაგებაზე კი არა, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ სფეროში შეთანხმებაზეა საუბარი.

ეკონომიკურ საკითხებზე მოლაპარაკებები საზოგადოების კეთილდღეობას კი არა, ქვეყნის უსაფრთხოებას ემსახურება. მარტივ მაგალითს გეტყვით, ქვეყანაში არცერთი ინვესტორი არ შემოვა, თუ ჰაერში დენთის სუნი იტრიალებს.

— ახლა ქვეყანაში ბევრი ინვესტორი შემოდის?

— საქართველო სტაბილურობით და ბიზნესის შესაძლებლობების მაჩვენებლით რეგიონში საკმაოდ წარმატებულ ნაბიჯებს დგამს. ინვესტორთა რაოდენობა დასათვლელია, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ამ მხრივ ცუდ მდგომარეობაში ვართ.

— აფხაზეთის დაკარგვას როცა ეხება საქმე, ეკონომიკურ დივიდენდებზე აპელირება გამართლებულად მიგაჩნიათ?

— რუსეთმა როგორც ეკონომიკური, ისე უსაფრთხოების თვალსაზრისით, აფხაზეთი „ზურგზე წამოიკიდა“ და დოკუმენტზე ხელი რომც არ მოაწეროს, ისედაც ოკუპირებული აქვს. შეთანხმების პროექტის ხელმოწერა რომ ჩაშლილიყო, მდგომარეობა შემსუბუქდებოდა? რა თქმა უნდა, არა! სხვათა შორის, პროექტზე ხელმონერით ხაჯიმბას დე ფაქტო ხელისუფლებამ აფხაზეთში საკმაოდ ძლიერი ოპოზიცია შექმნა, ამიტომ ეს გადაწყვეტილება ასე მარტივად არ ჩაივლის.

— აფხაზეთში ოპოზიციამ აქცია გამართა, მაგრამ მოსახლეობის წინააღმდეგობამ ხაჯიმბა და პუტინი ვერ შეაჩერა. ქართული მხარე აფხაზებს ალტერნატივად რას სთავაზობს?

— ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. აფხაზეთში საკმაოდ დიდი ჯგუფი რუსეთთან მსგავს ფორმებში ურთიერთობას ეწინააღმდეგება, თუმცა ახლა მათი ქება რომ დავიწყო, აფხაზეთში იფიქრებენ, ოპოზიცია საქართველოს მოკავშირეაო. ჩვენ ინტერესებში არ შედის, აქციის ორგანიზატორებს საქართველოს აგენტები უწოდონ. დიახ, საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ვართ, ჩიხში აღმოვჩნდით, მაგრამ აქედან გამოსვლას ვცდილობთ. ჩიხური მდგომარეობა ნაციონალური მოძრაობისგან მემკვიდრეობით მივიღეთ და ახლა ისინი ცდილობენ, დაგვაბრუნონ. კარგად ვიცით, ასეთ ვითარებაში საუკეთესო გამოსავალი სხვა ნაბიჯების გადადგმაა, მაგრამ...

— თქვენი აზრით, რა არის საუკეთესო გამოსავალი?

— უნდა ადგე, აფხაზეთში შეიჭრა და ტერიტორია დაიბრუნო, მაგრამ ეს სისულელეა, რომელიც საქართველომ არ უნდა ჩაიდინოს. ტერიტორიების ძალისმიერ დაბრუნებას მხარს არავინ დაუჭერს. გვაქვს ალტერნატიული მიმართულება — საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით რუსეთზე მაქსიმალური ზეწოლა.

— ნაციონალური მოძრაობა აბაშიძე-კარასინის მოლაპარაკების შეჩერებისკენ მოგიწოდებთ. გაითვალისწინებთ ოპოზიციის რეკომენდაციას?

— მოლაპარაკებები ფორმულაა, რომელზეც ეროვნული უსაფრთხოება უნდა აიგოს. ნუ ამცირებთ აბაშიძე-კარასინის გვარებს, ისინი უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლები არიან.

— დამისახელეთ კონკრეტული შედეგი, რომელიც ორწლიანმა მოლაპარაკებებმა გამოიღო.

— ახლო პერსპექტივაში არ ჩანს, რომ პრობლემა პოლიტიკური მოლაპარაკებების გზით გადაწყდება, მაგრამ დღესაც ეს ერთადერთი სწორი შესაძლებლობაა. რუსეთთან მოლაპარაკება საქართველოსადმი საერთაშორისო თანამეგობრობის დამოკიდებულებას არ ცვლის და არც ასუსტებს, როგორც ნაციონალური მოძრაობა აპელირებს.

— ნაციონალური მოძრაობა რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის სანქციებთან შეერთებასაც გთავაზობთ. რატომ არ უჭერთ ამ მიმართულებით დასავლეთის პოლიტიკას მხარს?

— მოლაპარაკებები და სანქციები ერთმანეთთან თავსებადი არ არის. სანქციების რესურსი საქართველოს არ აქვს. ევროპის პოლიტიკა სერიოზულ გეგმებს მოიცავს, რომელიც რუსეთის საფინანსო სტრუქტურების ფინანსურ დაზიანებას, სავაჭრო ურთიერთობის შემცირებას გულისხმობს, ნაციონალები კი მხოლოდ იდეური მიერთებისკენ მოგვიწოდებენ. საქართველომ რუსეთს პროდუქცია რომ არ მიაწოდოს, ეს რუსულ ბაზარზე გავლენას ვერ მოახდენს. საქართველო კი დაზარალდება.

— საქართველომ ემბარგოს პერიოდიც გამოიარა, მაგრამ სახელმწიფო გადარჩა.

— თუ ვამბობთ, სანამ რუსეთი არ დაინგრევა, პერსპექტივა არ არსებობსო, ცუდ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. ვიმეორებ, ევროპისა და ამერიკის რესურსები რუსეთის ეკონომიკის დასაზიანებლად ქმედითია, საქართველოსი — არა.

— არც საერთაშორისო სასამართლოებში აპირებთ რუსეთის წინააღმდეგ სარჩელების მომზადებას?

— ეს საკითხი განსახილველია. ცალკე საკითხია, მოლაპარაკებები, ცალკეა — სამართლებრივი ნაწილი. ამ მიმართულებით მეტი კონსულტაციაა საჭირო. ნაციონალური მოძრაობის დაყენებული საკითხები კი არა, ქვეყნისთვის სწორი პოზიციაა მნიშვნელოვანი. ნაციონალურმა მოძრაობამ დანაშაულებრივი პოლიტიკის შედეგად საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია დაუშვა და ახლა თურმე რჩევებს გვთავაზობენ. მიუხედავად ყველაფრისა, მოლაპარაკებები საუკეთესო გზად მიმაჩნია, რასაც ბრიუსელი და ვაშინგტონიც მხარს უჭერს. დასავლეთსაც ესმის, რომ საქართველოს სანქციებთან შეერთების რესურსი არ აქვს. ევროკავშირი საქართველოს თავშეკავებულ პოლიტიკასაც მიესალმება. ამიტომ არ გადავალთ კონფრონტაციულ რეჟიმში, რასაც ნაციონალები გვთავაზობენ.

„საწვრთნელი ცენტრის შექმნა ნატო-სთან კოლექტიურ თავდაცვას არ გულისხმობს“

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

NATO-ს გენერალური მდივანი, იენს სტოლტენბერგი, საქართველოს პრემიერ მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან შეხვედრის შემდეგ აცხადებს, რომ ალიანსი მიესალმება საქართველოს ერთგულებას ევროატლანტიკური კურსისადმი. მისი თქმით, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად, ნატო-საქართველოს საწვრთნელი ცენტრი შეიქმნება: „ამას ვაკეთებთ, რადგან საქართველოს სუვერენიტეტს პატივს ვცემთ“. სტოლტენბერგის განმარტებით, საქართველოში ნატოს საწვრთნელი ცენტრის შექმნასთან დაკავშირებული დეტალები თებერვალში, ნატო-ს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტერიალზე გახდება ცნობილი. რა რეალურ შედეგს მოუტანს საქართველოს ნატო-ს საწვრთნელი ცენტრის შექმნა? ამ საკითხის გასარკვევად, „ვერსიამ“ სამხედრო მიმომხილველ ირაკლი ალადაშვილს მიმართა.

— რეალურ შედეგებამდე ჯერ შორს ვართ. ამ ცენტრის შექმნა-ამოქმედება ნიშნავს, რომ საქართველოში მუდმივად ნატო-ს წევრი და არაწევრი ქვეყნების სამხედროთა სწავლება გაიმართება. რასაკვირველია, ეს ქართველებთან ერთად მოხდება — თუ ნატო ვერ ახერხებს საქართველოში საკუთარი სამხედრო ბაზის შექმნას იმ გასაგები მიზეზის გამო, რასაც რუსეთის ფაქტორი ჰქვია, არსებობს ერთგვარი გამოსავალი — შეიქმნას ასეთი საწვრთნელი ცენტრი თავისი ინფრასტრუქტურით, სადაც მუდმივი წვრთნები ჩატარდება. ამგვარად, საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად იქნებიან ნატო-ს წევრი ქვეყნების სამხედროები. ეს არ ნიშნავს ნატო-ს წევრობას და შესაბამისად, არ მოქმედებს ის ყბადაღებული მეხუთე მუხლი, რაც ნატო-ს სრულუფლებიანი წევრობის შემთხვევაში ვრცელდება და კოლექტიურ თავდაცვას გულისხმობს. ანუ, არ ნიშნავს, რომ, თუ საწვრთნელი ცენტრის ამოქმედების პერიოდში რუსული სამხედრო აგრესია გაგრძელდა, ნატო-ს ქვეყნების სამხედროები ქართულ არმიას გვერდში დაუდგებიან.

— როგორი იქნება რუსეთის რეაქცია ნატო-ს თუნდაც ამ შუალედურ გადაწყვეტილებაზე?

— შეიძლება, დიპლომატიურ დონეზე მორიგი ბრალდებები დაიწყოს. გამორიცხული არაფერია, რადგან წინასწარ ვერავინ გაიგებს, რას აპირებს რუსეთის ხელისუფლება. მისგან ყოველთვის უარესზე უარესია მოსალოდნელი. უკრაინაში მიმდინარე მოვლენების ფონზე, უკვე გამოიკვეთა დასავლეთის ერთიანი პოზიცია, რომელიც პუტინის ხელისუფლებასთან მიმართებაში მკაცრდება. რა უნდა მოიმოქმედოს საქართველოს ხელისუფლებმა? — ჩუმად ყოფნა არ იძლევა გარანტიას, რომ რუსეთის მხრიდან მორიგი ზეწოლა არ განხორციელდება. აქტიურმა მოქმედებამაც, რასაკვირველია, ეს პროცესი შეიძლება დააჩქაროს. ამასთან, აბსოლუტური გარანტიაც არ არის, რომ იგივე ნატო ან ამერიკა თავს გამოიდებს და საქართველოს რეალურად დაეხმარება. ეს სამწუხარო რეალობაა.

ექსკლუზიური ინტერვიუ აფხაზეთში მცხოვრებ ქართველ პედაგოგთან

ვინ ავიწროებს აფხაზეთში ქართველობას და როგორია ხაჯიმბას ორმაგი სახე

ნათია ნოდია

რა პროცესებია დე ფაქტო პრეზიდენტის, რაულ ხაჯიმბას პირობებში აფხაზეთში? შესაძლებელია აფხაზების ქართველებისკენ შემობრუნება? რა პრობლემები და სურვილები აქვთ იქ მცხოვრებ თანამემამულეებს? — ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ვერსია“ აფხაზეთში მცხოვრებ ქართველს, სოფელ ღუმურის მკვიდრს, პედაგოგ ლიკა შამათავას ესაუბრა.

— საქართველოს მოქალაქე ვარ. 2009 წელს, როცა აქაურმა ხელისუფლებამ პასპორტიზაცია დაიწყო, არ მიმიღო მოქალაქედ. „საეჭვოების“ სიაში აღმოვჩნდი — განათლება ქუთაისში მქონდა მიღებული და თან ადგილობრივ სკოლაში ქართულ ენასა და ისტორიას ვასწავლიდი. ალბათ უნდოდათ, ქართული პასპორტი თავად ჩამებარებინა. განსაკუთრებით ერჩოდნენ და აკონტროლებდნენ პედაგოგებს, რადგან დე ფაქტო ხელისუფლებას რეგიონში ქართული ცნობიერების გაძლიერება არ სურს... მამა სოხუმის დაცემამდე ცოტა ხნით ადრე გარდაიცვალა — მისთვის შოკი იყო აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედია. ვერ წარმოედგინა, რომ აფხაზები და ქართველები ერთმანეთს დავუპირისპირდებოდით. ძმაც რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა რუსეთში, სადაც, იძულებული გახდა, თავი შეეფარებინა. დედა პატრონობდა გაციებულ კერას. საქართველოში გადმოსვლას აპირებდა, მაგრამ მეზობლები ერთმანეთის იმედად შემორჩნენ. უხუცესები დარჩნენ, ჩვენ მაინც დაგვინდობენო, მაგრამ ბევრს სასტიკად გაუსწორდნენ — თავი მოკვეთეს, აწამეს... მე კი, სწორედ ამ პერიოდში მომიწია ქუთაისის უნივერსიტეტში სწავლა. დედის სანახავად, ჩუმად ვიპარებოდი აფხაზეთში, ტყე-ტყე გადავდიოდი, მალვა-მალვით... 9 თვის წინ დედაც დავკარგე, ხელში ჩამაკვდა.

— როგორც ვიცი, მოთარეშე რაზმები, ძირითადად, რუსებით, სომხებითა და ჩრდილოკავკასიელებით იყო დაკომპლექტებული. აფხაზები შეგნებულად გაურბოდნენ ამ ძმათამკვლელ ომს?

— აფხაზების წილი ამ დაჯგუფებებში პროცენტულად მცირე, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი იყო... რაც წლები გადის, უფრო უცხოვდება აფხაზეთი საქართველოსთვის ან პირიქით საქართველო — აფხაზეთისთვის. ქართულ ენას ისეთი წინაღობა შეუქმნეს, ეთნიკურად ქართველებსაც აღარ უნდათ თავის შენუხება, არ სურთ, დამატებითი დრო თუ თანხა გამოყონ და შვილებს ქართული ასწავლონ. საქართველოში განათლების მიღების პერსპექტივა არ ჩანს და ურჩევნიათ, რუსული ასწავლონ. გავუცხოვდით. რუსული ექსპანსია დღითიდღე ძლიერდება. სკოლებზე ზეწოლაა. არ უნდათ ქართული ენის გაჭაჭანება. ფაქტობრივად, იატაკქვეშეთში გვიწევს ბავშვებისთვის ენის სწავლება. სამაგიეროდ, დაწყებით კლასებში რუსულის სწავლება გააძლიერეს. რუსები ცდილობენ პოზიციების განმტკიცებას. სოხუმსა და გაგრაში მშენებლობაა დაწყებული. ამ ფაქტმა აფხაზეთში, გარკვეულწილად მოსახლეობის გაერთიანება განაპირობა. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ რუსეთი აქ თავისი მოქალაქეების თავმოყრით განახორციელებს მზაკვრულ ჩანაფიქრს: მსოფლიოს დაანახებს, თითქოს აფხაზეთში დომინანტია, თავისი ხალხის უფლებებს იცავს. ქართველებს თანამდებობებზე არ ნიშნავენ. მხოლოდ შავ მუშებად აჰყავთ. როცა მძღოლი მოძრაობის წესებს არღვევს, თუ ქართველია, კანონის მთელი სიმკაცრით აჯარიმებენ, აფხაზებს იოლად პატიობენ...

— ხაჯიმბა ქართველთმოძულეობითაა ცნობილი. მის პირობებში აფხაზეთში რა შეიცვალა?

— პირველი არ ხარ, ვისგანაც ხაჯიმბაზე, მსგავს შეფასებას ვისმენ, თუმცა მხოლოდ საქართველოში მცხოვრებთაგან მსმენია მისი ამგვარი დახასიათება. რეალურად, არ ჩანს სისხლისმსმელი. შესაძლოა, გაორებულია. გაუგებრობაში ვართ. გვეშინია მომავლის. აფხაზებისგან, ზიზღსა და სიძულვილს მაინც და მაინც არ ვგრძნობთ, თუმცა შეუთავსებლობაა და კონფლიქტი უფრო ბიუროკრატიულ ზემო ინსტანციებში იჩენს-ხოლმე თავს. გვითხრეს კიდეც ზემდგომებმა, თქვენმა მატარებელმა ჩაიარაო.

— აფხაზების ქართველებისკენ შემობრუნება მოსალოდნელია?

— რაც უფრო შორდები ტყვარჩელისა და გალის სოფლებს, სადაც ეთნიკურად აფხაზები შედარებით მრავლად არიან, ქართველთფობიას მეტად გრძნობ. მამიდა მყავდა შუა აფხაზეთში გათხოვილი. ჯერ კიდევ ბავშვობაში სტუმრად მივდიოდი ხოლმე. აი, მაშინ ვგრძნობდი უკმაყოფილებას. არ ვიცი, სხვა რა სიტყვა მოვძებნო. ყველაზე უკეთ ასე გამოიხატება მათი დამოკიდებულება და ეს უკმაყოფილება დღემდე ძაღლის ნაკბენივით მახსოვს. არ ვიცი, რა უნდოდათ. ომამდე რამდენიმე თვით ადრეც იგრძნობოდა, რომ რაღაცას აპირებდნენ. თითქოს, თავს გვარიდებდნენ, ჩაიკეტნენ საკუთარ სახლებში. რკინიგზის ტერიტორიაზე იკრიბებოდნენ. მუსირებდა აზრი — საქართველო დამოუკიდებელი ხდება, ნახავთ აფხაზებო, რა გელოდებათო. ამ აზრის ფორმირებაში, რასაკვირველია, რუსული სპეცსამსახურები მუშაობდნენ. ახლა აფხაზები ხვდებიან, რომ რუსების ხელში მხოლოდ იარაღის ფუნქცია ხვდათ წილად. მოტყუებულები არიან. ამას აცნობიერებენ, მაგრამ იხტიბარს არ იტეხენ. არ ვიცი, მათი შემობრუნება მომავალში რამდენად მოსალოდნელია. დღეს კი, ჩვენ, აფხაზეთში მცხოვრებ ქართველობას, ისღა დაგვრჩენია, ვიოცნებოთ, საქართველო სიზმარში მაინც ვნახოთ.

პუტინი იზოლაციაშია — ყველა ერთის წინააღმდეგ

„მოშორდი, გაეთრიე უკრაინიდან!“ — როგორ მოაქცია დასავლეთმა წნეხის ქვეშ რუსეთის პრეზიდენტი

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

პუტინი ჯახირობს. დიპლომატიას რა ვუყოთ, თორემ კრემლის თავკაცის ქმედებებს სხვა ეპითეტებიც მოეძებნება. სოჭში, აფხაზეთის დეფაქტო პრეზიდენტთან შეხვედრა და „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ შეთანხმების“ ხელმოწერაც პუტინისეული ჯახირის ერთ-ერთი გამოხატულებაა. ოფიციალურად, ამ შეთანხმების მიზანი თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებაა, რაც, პირველ რიგში კოლექტიური თავდაცვის სისტემის შექმნასა და აფხაზეთის შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციის შესაძლებლობას გულისხმობს. სინამდვილეში, რას ემსახურება პუტინი-ხაჯიმბას ტანდემი, მსოფლიო დონეზე ყველამ იცის. ისევე როგორც, აღარავისთვისაა ახალი, აფხაზეთში პუტინის მზაკვრული გეგმების შესახებ.
სიტყვა „ჯახირი“ მხარეებს შორის შეთანხმებისას შემთხვევით არ გამახსენდა. სხვა რა უნდა უწოდო იმ კაცის ქმედებას, რომელსაც საერთაშორისო დონეზე, თითქმის აღარავის მხარდაჭერა აქვს.

მსოფლიოსთვის მიუღებელ რუსულ პოლიტიკასთან პუტინი მარტო რომ დარჩა, ამაში 15-16 ნოემბერსაც დარწმუნდა — ავსტრალიის ქალაქ ბრისბენეში, სადაც „დიდი ოცეულის“ სამიტი გაიმართა და სადაც, დასალელმა ლიდერებმა, კრემლის პირველს საკმაოდ ცივი და არასასურველი შეხვედრა მოუწყვეს. პარტნიორებმა კი, მიანიშნეს, რომ დასავლეთთან ურთიერთობას, რუსეთის ინტერესების გამო არ გაიფუჭებენ. საერთაშორისო ანალიტიკოსებმა სამიტი, პუტინისა და დასავლეთის ურთიერთობის ბარომეტრად მონათლეს. ზოგმა ექსპერტმა ისიც კი „ივარაუდა“, რომ არაოფიციალურად, რუსეთი ცივილიზებული სახელმწიფოების სიიდან ამოშალეს.

„დიდი ოცეულის“ სამიტზე ძირითადად, გლობალური ეკონომიკისა და საერთაშორისო ვაჭრობის საკითხები უნდა განეხილათ. ოფიციალურ ანონსებში, არსად თქმულა, რომ მსოფლიო ლიდერები დიდ დროს უკრაინაში მიმდინარე მოვლენებსაც დაუთმობდნენ, თუმცა ამ საკითხს რომ ვერ აუვლიდნენ გვერდს, ითქვა. პარალელურად, სამიტის მასპინძელი, ავსტრალიის პრემიერი ტონი ებოტი პირდებოდა პუტინს, რომ მძიმე საუბარი ელოდა, უკრაინაში მალაიზიური ლაინერის კატასტროფის გამო. მან ლაინერის ჩამოვარდნაში რუსეთი პირდაპირ დაადანაშაულა და პრეზიდენტს კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის დაყენებაც მოსთხოვა. ამის შემდეგ ხმა გავარდა, შესაძლოა, რუსეთის პრეზიდენტმა სამიტზე ჩასვლა გადაიფიქროსო. არ გადაიფიქრა, ჩავიდა, მაგრამ როგორც ჩვენში იტყვიან, ვაი, იმ ჩასვლას — „სანდი მორნინგის“ ინფორმაციით, ვლადიმერ ვლადიმეროვიჩმა თავი შეურაცხყოფილად ჯერ კიდევ მაშინ იგრძნო, როცა თვითმფრინავის ტრაპიდან ჩასულს, ისევ დიპლომატიურ ენაზე რომ ვთქვათ, ზედმეტად მოკრძალებული დელეგაცია, საკმაოდ ცივად დახვდა. არანაკლებ ცივი დახვედრა მოუწყო ადგილობრივმა პრესამ — გაზეთ The Courier Mail-ის ახალი ნომრის პირველ გვერდზე, ავსტრალიური ლაინერის ფონზე, მოზრდილი ასოებით დაიბეჭდა: **„ძვირფასო ბატონო პუტინ, მადლობა ბრისბენში ვიზიტისთვის, მაგრამ სამიტის დაწყებამდე, თქვით ერთი სიტყვა, რომელსაც ელის თქვენგან ავსტრალიელი ხალხი — „მაპატიეთ“. უკრაინულმა დიასპორამ კი, ქალაქის სხვადასხვა ადგილას, აქცია მოაწყო მოთხოვნით — გაირიცხოს რუსეთი „დიდი ოცეულიდან“!**

ეს საკითხი სამიტზე, ცხადია, არ დამდგარა, მაგრამ პუტინს პირდაპირ უთხრეს, რომ მის დამპყრობლურ პოლიტიკას აღარვინ მოითმენს. ამ შინაარსის ტექსტები პუტინმა 2 დღის განმავლობაში სხვადასხვა ლიდერისგან, სხვადასხვა ვითარებაში ისმინა — ფორუმზე, ტრიბუნიდან, კულუარებში ტეტ-ა-ტეტ შეხვედრებისას თუ დახურულ კარსმიღმა — ჟურნალისტების მტკიცებით, ასეთი ფორმატით ჩატარებულ ყველა შეხვედრაზე, საკმაოდ ხმამაღალი და მკაცრი ტონით ესაუბრებოდნენ პუტინს. **„ოფიციალურად, უკრაინის საკითხზე არ უნდა გვემსჯელა, მაგრამ შეგხვდებოდნენ თუ არა, ამაზე იწყებდნენ გაუთავებელ ლაპარაკს“,** — განუცხადა სამშობლოში დაბრუნებულმა პრეზიდენტმა ჟურნალისტებს და ალბათ, სიტყვა „ლაპარაკში“, საყვედური უფრო იგულისხმა. საყვედური კი, მსოფლიოს 19-ვე ქვეყნის წარმომადგენლის ოფიციალურ კომენტარებშიც იგრძნობოდა. მაგალითად, ბარაკ ობამამ განაცხადა: **„აშშ მიიჩნევს, რომ რუსეთი უნდა იყოს ინტეგრირებული მსოფლიო ეკონომიკაში, მაგრამ ამისთვის ყველა საერთაშორისო პრინციპის დაცვა მოუწევს. მათ შორის ერთ-ერთია, რომ არავინ უნდა შეიჭრას სხვა ქვეყანაში და სცადოს მისი გახლეჩა... რუსეთის აგრესია უკრაინის წინააღმდეგ, მსოფლიოს საფრთხეს უქმნის“.**

დევიდ ქემერონის თქმით, სამიტის დადებითი შედეგი ისაა, რომ ამერიკამ მიახვედრა რუსეთი, როგორი რეაქცია ექნება დასავლეთს, თუკი უკრაინაში კრიზისი გაგრძელდება, — **„პუტინი არასწორი გზით მიდის და ძირს უთხრის რუსეთის ინტერესებს. თუ რუსეთი განაგრძობს უკრაინაში დესტაბილიზაციას, ჩვენი და რუსეთის ურთიერთობა ჩიხში შევა და გვექნება საფუძველი, ახალი სანქციები დავუწესოთ“.**

პუტინს ავსტრალიის, იაპონიის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების ლიდერებმაც მოიწოდეს, შეწყვიტოს დესტაბილიზაცია უკრაინაში. კანადის პრემიერმა სტივენ ჰარპერმა კი, Bloomberg-ის ინფორმაციით, პირველი შეხვედრისას მიმართა: **„ხელს ჩამოგართმევთ, მაგრამ თქვენთვის მხოლოდ ერთი რამ მაქვს სათქმელი — მოშორდი, გაეთრიე უკრაინიდან“.** პუტინი შეცბა, მაგრამ ვითარების გამოსწორება სცადა და მიუგო, ეს შეუძლებელია, რადგან რუსეთი უკრაინაში არ არისო.

პუტინი სამიტის პირველივე დღეს დარწმუნდა, რომ რუსეთი ფორუმის სათავისოდ გამოყენებას ვერ მოახერხებდა. ასეც მოხდა — ლიდერებმა პუტინი ზეწოლის ქვეშ მოაქციეს, ეს მოსკოვის დიპლომატიური კრახი იყოო, — აცხადებენ საერთაშორისო ანალიტიკოსები. ამ ფონზე, უკვე გასაკვირი აღარაა, რომ პუტინმა, ავსტრალია, პირველმა და თანაც, დაგეგმილზე ადრე დატოვა. ის იმაზეც განრისხდა, რომ უკრაინის საკითხი მის გარეშეც განიხილეს — ებოტიმ, ობამამ და იაპონიის პრემიერმა სინძო აბემ, 2007 წლის შემდეგ პირველად, სამხრივ ფორმატში გამართეს შეხვედრა და ისიც კი განაცხადეს, რომ მალაიზიური ლაინერის კატასტროფა სასწრაფოდ უნდა გამოიძიონ და დამნაშავეებმა პასუხი აგონ.

ბოლო წვეთი კი, სამიტის ბოლოს, სამახსოვრო „ოჯახური ფოტოს“ გადაღება იყო — პეკინში გამართულ წინა ფორუმზე გადაღებულ ფოტოზე პუტინი ცენტრში დგას, სამიტის მასპინძლის გვერდით. ამჯერად, ბოლოში დააყენეს, აფრიკისა და აზიის ქვეყნების ლიდერებს შორის. ლანჩზეც, ბრაზილიის პრეზიდენტ დილმა რუსეფთან ერთად იჯდა, მაგიდასთან, სადაც სხვა ადგილები ცარიელი იყო. სუფრასთან არაფერი გაუსინჯავს — პოლიტიკურ კულუარებში ამბობენ, რომ მარტოდდარჩენილს, დევნის მანია სტანჯავს, ყველგან საფრთხეს ხედავს და ავსტრალიაში მზარეულებიც კი ჩაიყვანა, არ მომწამლონო.

სამიტიდან ნაადრევად წამოსვლა, პუტინმა ამგვარად ახსნა: **„საუზმეზე არ დავრჩი, რადგან ვლადივასტოკამდე 10 საათი უნდა გვეფრინა, იქიდან მოსკოვამდე კიდევ 10 საათი, ორშაბათს სამსახურში უნდა გავსულიყავი და 4-5 საათი მაინც უნდა გამომეძინა“.** საერთაშორისო ექსპერტების აზრით კი, იზოლაციაში მყოფმა პუტინმა, მსოფლიო ლიდერების ზეწოლას ვეღარ გაუძლო და იმის განცდას, რომ მარტო დარჩა. ერთის წინააღმდეგ კი ლამის მთელი მსოფლიოა.

მკვლელი კოსმეტიკა ანუ სილამაზე მსხვერპლს მოითხოვს

თამარ ლომსაძე
568-34-44-94

იაფიანი კოსმეტიკური საშუალებები მაღაზიის დახლებზე — ქართული რეალობა, როგორც ირკვევა, აშშ-სა და ევროპისთვის უკვე წარსულია, თანაც საკმაოდ საშიში — უცხოელმა მეცნიერებმა არაერთი კვლევა დადეს კოსმეტიკურ საშუალებათა ინგრედიენტების მავნებლობაზე, თუმცა იმის გამო, რომ ბაზარზე შესული კრემები თუ ჰიგიენის სხვა საშუალებები ნაკლებად კონტროლდება, მავნე კოსმეტიკასთან ბრძოლა ამაო აღმოჩნდა. ყოველ შემთხვევაში, შექმნილი მდგომარეობა სწორედ ამაზე მიუთითებს.
ტუში, პომადა, თვალის ფანქარი, კრემი... რაც იაფი ეღირება, მით უკეთესი — ჯიბეს საგრძნობლად არ დაარტყამს, მაგრამ საკითხავი ისაა, როგორ იმოქმედებს ჩვენს ჯანმრთელობაზე.

იაფიანი კოსმეტიკა — მედლის ორი მხარე

თუმცა, რა დროს ჯანმრთელობაა, ნებისმიერი ქალისთვის ისაა მნიშვნელოვანი, რაც შეიძლება კარგად გამოიყურებოდეს და ამ ფონზე, თუ კოსმეტიკური საშუალებების მწარმოებელთა „კეთილსინდისიერებას“ გავითვალისწინებთ, ყველა დროის უკვდავი ფრაზა — სილამაზე მსხვერპლს მოითხოვს — თანამედროვეობაში სრულიად ახალ დატვირთვას იძენს. მაგრამ ვთქვათ სიმართლე — რამდენი ქალია მზად, აიღოს წყაროს წყალი, შეათბოს საჭირო ტემპერატურამდე და დაიბანოს სახე ან თმა? ალბათ არც ერთი. ან რატომ უნდა დავიტვირთოთ თავი, როცა ონკანშიც მოდის წყალი, არც დროისა და ენერგიის ხარჯვა მოგვიწევს და დიდი ამბავი, თუ მის შემადგენლობაში ქლორი, დიოქსინი და სხვა მკვლელი ნივთიერებებია, რომელიც ნელა და საფუძვლიანად ასრულებს თავის „დანიშნულებას“ — ანადგურებს ჯანმრთელობას.

ძნელია გაუძლო ცდუნებას — არომატული გელი აბაზანისთვის, დეზოდორანტები, ნიღაბი, ტუჩსაცხი, ფრჩხილის ლაკი, ტუში, თვალის ფანქარი, ჩრდილი... ვის არ უნდა ჰქონდეს გამომწვევი მზერა, სახის გადაჭიმული სახის კანი, დაბუთქული ტუჩები, გრძელი წამწამები... მთავარია ჩამოყალიბდე, რა გინდა... მაგრამ, როგორც ირკვევა, საქმე ასე მარტივად არ არის — მეტი ეფექტისა და ხანგრძლივი შენახვისთვის, მწარმოებლები კოსმეტიკურ პროდუქციას ისეთ კომპონენტებს ამატებენ, რომელიც ჯანმრთელობისთვისაც საშიშია და სხვათა შორის, ბუნებრივი სილამაზისთვისაც.

მაშ ასე, თქვენს წინაშეა მკვლელი კოსმეტიკა: კომპონენტი — პარაბენი Ethylparaben, Methylparaben, Butylparaben, Propylparaben — კარგა ხანია ეს ნივთიერება დისკუსიის საგნადაა ქცეული, რადგან სარძევე ჯირკვლის კიბოს უჯრედების შემადგენლობაში აღმოაჩინეს. მეცნიერთა ვარაუდით, ის დეზოდორანტის საშუალებით, იღლიიდან აღწევს სარძევე ჯირკვლებში და იწვევს ავთვისებიან სიმსივნეს. თუმცა პარაბენის ასეთი მოქმედება ვერ დადასტურდა და სწორედ ამიტომ დღემდე ფიგურირებს დაშვებულ კომპონენტთა შორის;

კომპონენტ პროპილენ გლიკოლს (Propilene Glycol), რომელსაც კრემების უმრავლესობა შეიცავს, საოცარი თვისება აქვს — ჭიმავს კანს, მაგრამ ეს ეფექტი დროებითია. სამაგიეროდ მისი მოქმედებით გამოწვეული ალერგიული გამონაყარი, თირკმელსა და ღვიძლში ნეგატიური ცვლილებები, საკმაოდ ხანგრძლივია;

ლაურილი ნატრიუმის სულფატი (Sodium Lauryl Sulfate, SLS, SLES) საყვარელი კომპონენტია ჰიგიენის საშუალებების, განსაკუთრებით, შამპუნის მწარმოებლებისთვის, რადგან უზრუნველყოფს ქაფს და თმასაც კარგად ბანს, თუმცა მისი საშუალებით ძრავისა და დაზგების გაწმენდაც შეიძლება. ლაურილ სულფატი აღიზიანებს კანს, აუძლურებს თმის ძირებს, ილექება ორგანიზმში და დამღუპველად მოქმედებს, პირველ რიგში, მხედველობაზე. ამ „ღირსებების“ ფინალური აკორდი კი ის გახლავთ, რომ მწარმოებელს შეუძლია შეფუთვას დააწეროს — „მიღებულია ქოქოსისგან“, SLS სინამდვილეში სწორედ მისგან მიიღება, ხოლო მომხმარებელი ვერასოდეს გაიგებს, რომ ნატურალური პროდუქტისგან მხოლოდ კეთილთვისებიანი კომპონენტები არ მზადდება;

BHA და BHT — სინთეტური ანტიოქსიდანტები აკრძალულია ევროპის ტერიტორიაზე, სამაგიეროდ, ფართოდ გამოიყენება იქ, სადაც ეს აკრძალვა არ მოქმედებს. გამოკვლევებმა უკვე დაადასტურა, რომ ორივე კომპონენტი იწვევს ღვიძლისა და თირკმლის პრობლემებს, ხოლო აშშ-ს კალიფორნიის შტატში მწარმოებლები ვალდებულნი არიან, შეფუთვაზე მიუთითონ, რომ ამ კომპონენტებმა შეიძლება წარმოქმნას ავთვისებიანი სიმსივნე;

ფტალატები (Dibutyl Phthalate, Diethyl Phthalate, Dimethyl Phthalate) — ეს ტოქსიკური კომპონენტი არის პარფიუმერულ პროდუქციაში და ასევე საკმაოდ მოთხოვნადია ფრჩხილის ლაკის მწარმოებლებში. რეალურად კი ნეგატიურად მოქმედებს დნმ-ზე და იწვევს უშვილობას...

ეს, რა თქმა უნდა, არასრული ჩამონათვალია: ფტალატები ზრდის ალერგიის რისკს, იწვევს ასთმასა და ჰორმონალურ დისბალანსს; პესტიციდები შეიძლება ორგანიზმის მოწამვლის მიზეზი გახდეს, წარმოქმნას სიმსივნე და განავითაროს პარკისონის დაავადება; ფორმალდეჰიდები იწვევს თავისტკივილს, ალერგიას; ტრიკოლზანი, პ-ფენილენდიამინი, დიეტანოლამინი და ტრიეტანოლამინი, პეტროლატი, ლანოლინი... ყველას დასახელება უბრალოდ შეუძლებელია, სამაგიეროდ, მათ საერთო თვისება აქვთ — კანის საშუალებით აღწევს ორგანიზმში და სხვადასხვა დაავადებას პროვოცირებს. ან რამდენად შეიძლება უსაფრთხო იყოს მაშინ, როდესაც მათი ტოქსიკურობა საფუძვლიანად ჯერ არავის გამოუკვლევია.

ვინ ამოწმებს კოსმეტიკურ საშუალებებს?

კოსმეტიკური თუ ჰიგიენური საშუალებების შეძენისას, შესაძლოა გვეიმედება, რომ ცალკეულმა კომპონენტებმა მაინც გაიარეს სათანადო შემოწმება, ჯანდაცვის ორგანოების ლიცენზია გააჩნია და უსაფრთხოა, რეალურად კი ასეთი პროდუქცია დახლზე გამოჩენამდე მაკონტროლებელი ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში ნაკლებად ხვდება, ეს კი ნიშნავს, რომ არ არსებობს უსაფრთხოების გარანტია. საკვები პროდუქტისა და წამლის ხარისხის მაკონტროლებელი ორგანოები მთელ პასუხისმგებლობას აკისრებენ კოსმეტიკურ ფირმებს, ეს უკანასკნელნი კი ცდილობენ, თავი დაიზღვიონ და მეტად უსუსური არგუმენტი მოჰყავთ — მათ აქვთ უფლება, შეხედულებისამებრ გამოიყენონ ნებისმიერი ნივთიერება. საღებავი დანამატისა და ზოგი აკრძალული კომპონენტის გარდა და საკუთარი პროდუქციის გამოსაშვებად არანაირი ლიცენზია თუ რეკომენდაცია არ სჭირდებათ(?!). რა თქმა უნდა, არ ღირს ფიქრი, რომ ჩვენს ბაზარზე არ არის ხარისხიანი კოსმეტიკური საშუალებები, მაგრამ იმ დროს, როცა გარკვეული კომპანიები უვნებელ პროდუქციას აწარმოებენ, მეორენი კომპონენტებად კანცეროგენულ ნივთიერებებს იყენებენ.

მეცნიერთა დასკვნა კი ასეთია — ზოგადად კოსმეტიკური საშუალებების ერთ მესამედზე მეტი შეიცავს ამა თუ იმ მავნე კომპონენტს, რომელიც გარკვეული პერიოდის შემდეგ იწვევს კიბოს. ათასობით ინგრედიენტიდან კი მხოლოდ 11 პროცენტს ამოწმებენ და სწორედ ასეთია დიბუტილფტალატი, რომელიც კარგა ხანია ჯანდაცვის ორგანიზაციების ყურადღების ცენტრშია და უცვლელი კომპონენტია ფრჩხილის ლაკში — ექსპერიმენტისას მან სერიოზული დეფექტები გამოიწვია საცდელ თაგვებში და მისი გამოყენება მკვეთრად შეზღუდეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში; ასევე ბენზოფენონები, რომელიც ზრდის ქრონიკული დაავადებების განვითარების რისკს და მას როგორც წესი, მზისგან დამცავი კრემები შეიცავს, ხოლო რაც შეეხება თმის საღებავს, დღემდე მეცნიერები არ მისულან საერთო დასკვნამდე, რამდენად უკავშირდება კიბოს განვითარებას, თუმცა ერთ-ერთმა ბოლო გამოკვლევამ დაადასტურა, რომ მუქ საღებავს შეუძლია ლიმფომა წარმოშვას.

ასე რომ, სანამ სხვადასხვა კოსმეტიკურ საშუალებას შეავიძენთ და შემდეგ თავს მოვიწონებთ, იქნებ დავფიქრდეთ, რამდენად ღირს სილამაზე ასეთ მსხვერპლად.

რატომ და ვისი წყალობით შევიდა ჩიხში დომენტი გაგნიძის სასამართლო საქმე?

დავით დევიძე
593-219-042

ახალი ხელისუფლება მიღწევებზე საუბრობს, მაგრამ რეალურ მიღწევებამდე ჯერ შორს ვართ. საქართველო უპატრონო ქვეყანას დაემსგავსა — სამართლიანობის აღდგენა ანუ დაპირება, რითაც „ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდა, აუხდენელ ოცნებად დარჩა. ამ მოსაზრების არგუმენტად ცნობილი სახალხო მკურნალის — დომენტი გაგნიძის საქმეც გამოდგება. გაგნიძე ნაციონალებმა უსამართლოდ დაჩაგრეს და საქმიანობის საშუალება არ მისცეს. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ გაჩნდა იმედი, რომ სამართალი ბოლო-ბოლო პურს ჭამდა, თუმცა მოლოდინი ჯერჯერობით არ მართლდება. ნაციონალების არეულს „ოცნება“ ვეღარ ალაგებს. წინა კვირაში ამ საქმესთან დაკავშირებით მორიგი სასამართლო პროცესი გაიმართა, უფრო სწორად, უნდა შემდგარიყო, მაგრამ, რადგან თავის დროზე მკურნალი მოატყუეს და სასამართლოს მიერ დაწესებული ვადები დაარღვევინეს, სასამართლომ საქმე აღარც განიხილა. „ვერსიას“ დომენტი გაგნიძის ადვოკატი, ბიორგი ბერიაშვილი ესაუბრება:

— თავის დროზე ბატონი დომენტის წამლის რეგისტრაცია ბათილად ცნეს იმ მოტივით, რომ მან ვითომდა გააყალბა და ისე წარადგინა ნათიშვილის კლინიკის ექსპერიმენტული კვლევის დასკვნები. იმის გამო, რომ უნდოდათ დომენტი გაგნიძის, როგორც წარმატებული სახალხო მკურნალის საქმიანობის შეჩერება, ხელს უშლიდა ფარმაკო და ონკოლოგთა მაფიას, ეს ყალბი დასკვნა ხელზე დაიხვიეს და გააუქმეს რეგისტრაცია. თანაც ისე, ჩვენც არ ვიცოდით, საერთოდ საიდან გაჩნდა ეს ავადსახსენებელი დოკუმენტი. მოვიდა ვინმე დავით მეტრეველი, რომელმაც შესთავაზა ბატონ დომენტის, მოგიწესრიგებ დოკუმენტაციასო. ეტყობა, მეტრეველმა წარადგინა ეს გაყალბებული საბუთი. დომენტი გაგნიძემ განაცხადა კიდეც, მე არ გამიყალბებია, ალბათ მეტრეველმა გააყალბა და იმას მოკითხეთო. გამოძიებამ არავინ დასაჯა და გაგნიძის პროტესტი დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

— სასამართლოზე რა ითქვა ამასთან დაკავშირებით?

— სასამართლოს რეალური მასალები წარვუდგინეთ. ვაბუთებთ, რომ არასწორად და უსამართლოდ გაგვიუქმდა რეგისტრაცია, მხოლოდ იმ მოტივით, რომ ბრძანება, გაქმებიდან ერთი თვის ვადაში არ გავასაჩივრეთ.

— რატომ არ გაასაჩივრეთ ამ ვადებში?

— საქმეც ისაა, რომ სწორედ აქ ვხვდებით მთელ რიგ უსამართლობას. ეს ბრძანება გამოცემული იყო დარღვევით, რადგან ვადები და ადგილი, სად უნდა გაესაჩივრებინა, არ იყო მითითებული. ამიტომ შესაძლებელი იყო იგი ერთი წლის ვადაშიც გასაჩივრებულიყო. კოდექსი იძლევა ამის საშუალებას. ამ დროისათვის როგორც ჩემთვის ცნობილია, ბატონი დომენტის ადვოკატი იყო ვინმე ირაკლი ზაქარეიშვილი, რომელმაც, ასე ვიტყოდი, სული ეშმაკს მიჰყიდა და ფაქტობრივად, შეკრული იყო იმ მაფიასთან — დომენტი გაგნიძეს არ განუმარტა, რა უნდა გაეკეთებინა, მოუსპო საშუალება, კანონიერი გზით დაემტკიცებინა თავისი სიმართლე. აქედან გამომდინარე, სასამართლოს პრეტენზიას ვეღარც ვუყენებ. დღეს სასამართლო სამართლიანად ამბობს, ვადები გადაცილებულია და ამიტომ საქმე განხილვას აღარ ექვემდებარებაო, მაგრამ თუკი სასამართლო ამას განიხილავს, ჩვენ გვაქვს ის არგუმენტები და უტყუარი მასალები, რომლითაც ამ უფლებას აღვიდგენთ. მაგრამ, ვიმეორებ, თუკი სასამართლო საერთოდ განიხილავს საქმეს.

— გამოსავალი რაშია?

— ჩვენ ვასაჩივრებთ სააპელაციო სასამართლოში და ვნახოთ რა მოხდება. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ნორმების დარღვევით იყო ეს ბრძანებაც გამოცემული. შევეცდებით სააპელაციო წესით ვეცადოთ გამართლება, მაგრამ სააპელაციოსაც უფლება აქვს უარი გვითხრას, ისევ და ისევ, ვადის დარღვევის გამო. სხვა გამოსავალია — დომენტი გაგნიძემ ხელახლა იწვალოს და თავიდან დაიწყოს წამლების გამოკვლევა, შესწავლა-დარეგისტრირება, მარგამ ასე ჩვენს სიმართლეს ვეღარ ვამტკიცებთ. ფარ-ხმლის დაყრას არ ვაპირებთ. როცა სასამართლო განჩინების აქტს ჩაგვაბარებს, იქ მოცემული არგუმენტების მიხედვით შევიტანთ და გავასაჩივრებთ სააპელაციო სასამართლოში. ვიმეორებ, სასამართლოს მიმართ პრეტენზიები ნაკლებად გვაქვს. როგორც გითხარით, ეს ყველაფერი იმის ბრალია, რომ დომენტი გაგნიძე მოატყუეს და დროზე არ გაასაჩივრებინეს გადაწყვეტილება. თუმცა, სასამართლომაც გარკვეულწილად შეუწყო ხელი იმას, რომ გასაჩივრება არ მოხდა. გადაწყვეტილებაში ეწერა, ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროშიო, მაგრამ ამ სამინისტროში როცა შევიტანეთ განცხადება გვითხრეს, ჩვენ კომპეტენტურები არ ვართო. ე. ი. ფაქტობრივად, არასწორად მითითება მოგვცეს. ბრძანება ასევე კანონდარღვევით არის შედგენილი — სამი აბზაცია სულ და თორმეტი შეცდომაა. სასამართლო ამ ყველაფრით არ დაინტერესდა. კი არ ეცადა, ობიექტური გადაწყვეტილება მიეღო, არამედ ისევ იმ ბიუროკრატიული აპარატის მიერ უკანონობის დაკანონებას შეუწყო ხელი. იმედი მაქვს სააპელაციო სასამართლოში მაინც მივაღწევთ, რომ ობიექტურად განიხილონ საკითხი და დომენტი გაგნიძეს წამლების წარმოების უფლება აღუდგინონ.



1. ტვირთ-მზიდავი ხარი
2. სპირალ-ურად დახვ. ფოლადის ზოლი
3.მსუბუქი ხასიათის კომედიური პიესა
4. მოკრივე ... მარჩიანო
5. ჯარის რჩეული ნაწილი
6. ნა-მიბიის დედაქალაქი
7. სამ-გლოვიარო მუსიკალ. ნაწარმოები
8. მდინარე აღმოსავ-ლეთ საქართვ.
9. სამ-კურნალო მცენარე
10. დროის უკმარისობა ჭადრაკში
11. კუნთის შაქარი
12. სამარხი ნაგებობა
13. აშშ-ის შტატი
14.საქართვ. თავდაცვის ყოფილი მინისტრი
15. ყურის ექიმი
16. ალ-პინისტის ფეხსაცმელი
17.ქარისგან მოტანილი სილის ბორცვი
18. სპორტული მარხილი
19.კეთილ-შობილი, დიდსულო-ვანი მამაკაცი
20. დასავდომი ავეჯი
21. აზერბაი-ჯანის პრე-ზიდენტი
22. ინდური აკაცია
23. მთა წალკის რაიონში
24. ყველაზე დიდი პეპელა
25. დამატე-ბითი ღი-რებულების გადასახადი
26. დიდი ესპანელი ფერმწერი
27.ყურზე მისამაგ-რებელი საყურე
28. საუკეთესო ხარისხის ბროლი
29. ტბა ალასკაზე
30. „საგ-ვირგვინე“ მცენარე
31. ქალაქი კუნძულ სარდინიაზე
32. ტიბეტის დედაქალაქი
33. უსი-ნათლოთა შრიფტის ავტორი
34. სამხედრო ნადავლი
35. პარიზის აეროპორტი
36. შესანახად გასმობილი ხორცი
37. ღვინის ობი
38.სამხრეთ აზიაში მცხოვრები ხალხი
39. შიშველი სხეული ხსატვრო-ბაში
40. არა-მომთაბარე გლეხი არაბეთში
41. ფრანგი კომპო-ზიტორი
42. სასწო-რის თეფში
43. მუსიკოსი ... ჩარლზი
44. ქამრის შესაკრავი
45. ზვიად-აურის სოფელი
46. რუსული თვითმფრ. მარკა
47. ფერ-მწერი ... გოგენი
48. უკრაინელი პოლიტიკოსი და პრო-ფესიონალი მოკრივე
49. მწერალი ... ფოიხტვან-გერი
50. კედლის სანათი
51. მოკრძა-ლება, მორიდება
52. სვეტებიანი გალერეა
53. გიგანტური ელე-ქტრული განმუხტვა ატმოსფეროში
54. ფუტკრის სახლი
55. საბავშვო თამაშობა ერთგვარი
56. ჯ. გამ-სახურდიას „ქოსა ...“
57. დიდი ჩაქუჩი
58. ბემოლის ანტიპოდი
59. საფრანგ. ყველაზე გრძელი მდინარე

ყველაგე უსარგებლო პროფესიები

ბრიტანული ანალიტიკური ცენტრის — New Economics Foundation მკვლევარებმა საზოგადოებისთვის ბევრი პრესტიჟული პროფესიის — ბანკირების, სარეკლამო აგენტებისა და საგადასახადოს ბუჰხალტრების — უსარგებლობა დაამტკიცეს. ეკონომიკურად სასარგებლო პროფესიების მეორე პოლუსზე აღმოჩნდნენ ძიძები, აღმზრდელები და მენაგვეები. სწავლულების კვლევის ობიექტი დღეს არსებული ექვსი პროფესია გახდა, რომელიც ერთმანეთისგან კარდინალურად განსხვავდება როგორც ხელფასით, ასევე სოციალური სტატუსითაც. ყოველი მათგანი საზოგადოებისთვის სარგებლობის მოტანის მხრივ შეაფასეს და აღმოჩნდა, რომ პრესტიჟულმა პროფესიებმა ყოველმხრივ წააგო. ბანკირები, რომელთა ხელფასი წელიწადში 500 ათასიდან 80 მილიონ გირვანქა სტერლინგამდეა, საკუთარ ქვეყანას ყოველ გამომუშავებულ გირვანქაზე 7 გირვანქით აზარალებენ. სარეკლამო სააგენტოების მენეჯერებში ამ მხრივ შეფარდება 1-11,5-თან იყო, ხოლო ბრიტანეთისთვის ყველაზე გამაკოტრებელი საგადასახადოს ბუჰხალტრები აღმოჩნდნენ, მათთვის გადახდილ ყოველ გირვანქაზე ქვეყანა 47 გირვანქით ზარალდება. მკვლევარები გულისხმობენ არა ფულის დაკარგვას, არამედ ზედმეტ ხარჯს, რაც საზოგადოებამ გაიღო. ასე მაგალითად, ბანკირები, სწავლულთა მოსაზრებით, პასუხისმგებელნი არიან ფინანსური კრიზისის წარმოქმნაში, რაც ძალიან სარისკო საკრედიტო პოლიტიკითაც იყო გამოწვეული.

შედარებით მოკრძალებული ხელფასების მქონე პროფესიების წარმომადგენლები კი ხაზინას საკმაოდ ასარგებლებენ. ძიძები და აღმზრდელები, იღებენ რა საკუთარ თავზე ბავშვების მოვლას, მათ მშობლებს მუშაობის საშუალებას აძლევენ. თანაც, ყოველ გირვანქას, რასაც ისინი იღებენ, 9,43 გირვანქა მოგება მოაქვს. ყველაზე მეტი სარგებელი კი ნაგვის გადამამუშავებლებისგანაა — მათთვის ერთ გადახდილ გირვანქას, თურმე, 12 გირვანქა მოგება მოაქვს.

„სოლო-ქორწილი“ გაუთხოვრებისთვის

ერთ-ერთი იაპონური კომპანია გაუთხოვარ ქალბატონებს უჩვეულო მომსახურებას სთავაზობს — ე.წ. სოლო-ქორწილს. კლიენტებს შეუძლიათ გახდნენ პატარძლები ქორწინების ოფიციალური გაფორმების გარეშე. სერვისი ითვალისწინებს საქორწილო კაბის მოსინჯვას, საპატარძლო თაიგულის არჩევას, პარიკმახერისა და ვიზაჟისტის მომსახურებას, ასევე ღამის გატარებას ოტელის დახვეწილად მოწყობილ ნომერში. სასტუმროში მამაკაცი არ არის გათვალისწინებული, თუმცა კლიენტები ხშირად პატიჟებენ ხოლმე ბოიფრენდებს. ასეთი სოლო-ქორწილები დაახლოებით სამი ათასი დოლარი ღირს და, როგორც იდეის ავტორები აცხადებენ, მათი მომსახურებით უკვე ათეულობით მანდილოსანმა ისარგებლა.

სიკვდილისთვის ემზადებიან

დაკრძალვისთვის თვითმომზადება და მაღალტექნოლოგიური სასაფლაოები ახალი კულტია ამომავალი მზის ქვეყანაში. იაპონური სარიტუალო ბიზნესი გამორჩეულია და სხვებს არაფრით ჰგავს — აქაურებს ახასიათებს წინასწარ განსჯა სიკვდილზე, ყოველგვარი პანიკის გარეშე, მაგრამ მეტი პრაგმატულობითა და ფატალიზმით. ამჯერად ქვეყანაში მეტად პოპულარულია მომსახურება სახელწოდებით The End of Life, ანუ მზადება საკუთარი დაკრძალვისთვის. არა, იაპონელები სულაც არ ჩქარობენ, მოხვდნენ თავიანთ მდიდრულ და მაღალტექნოლოგიურ სასაფლაოებზე — უბრალოდ, სიკვდილთან დაკავშირებით აქაურებს უჩვეულო დამოკიდებულება აქვთ. დაკრძალვის ყოველი სამწუხარო პროცედურა, ჩვეულებრივ, მისი ახლობლების კისერზეა, მაგრამ — არა იაპონიაში: ბოლო დროის ერთ-ერთი ყველაზე „მოდური“ მიმართულება საკუთარი დაკრძალვისთვის მზადებაა. შეუძლიათ, ყველაფერი წინასწარ მოამზადონ — იზრუნონ კუბოზე, საფლავსა და ცერემონიის სხვა ატრიბუტებზე და, როცა იმქვეყნად წასვლის დრო დადგება, მშვიდად განისვენონ. ამისთვის ისინი სპეციალურ თემატურ სემინარებს ესწრებიან, ირგებენ სამუდამო განსასვენებელს და სხვ.

სუდოკუ

ადვილი

		6			3	7		
2							5	
			4		1			2
1	6				9			3
	8						2	
4			2				7	6
3			1		7			
	2							8
		4	5			3		

სტანდარტი

	4				3	2		9
9	5			2	8			
		1			4			
	3					5		7
		9				4		
7		5					9	
			7			3		
			2	6			5	4
6		2	3				8	

რთული

8			7					
				9	4	7		
		9					5	
	3	4		1				6
	2		9		5		4	
9				7		1	2	
	8					3		
		6	1	3				
					6			1

ექსპერტი

				8		7		
	4	8		6	3			9
	9		5					3
	7				1			8
4				5				2
8			6				3	
2					6		4	
7			2	1		3	9	
		3		9				

მუსიკა ნარკოტიკებისკენ უბიძგებს

მუსიკა ახალგაზრდა ადამიანებს ალკოჰოლსა და ნარკოტიკზე დამოკიდებულებისკენ უბიძგებს, — დაასკვნეს ქვისლენდის ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლულებმა. მათ ახალგაზრდა ადამიანების ჯგუფი გამოკითხეს და გაარკვიეს, როგორ მუსიკას ანიჭებენ უპირატესობას. გაირკვა, რომ განსაკუთრებით მგრძნობიარე პიროვნებებზე ტექსტი, ტემპი და მელოდია მოქმედებს. სამწუხაროდ, არ არსებობს უნივერსალური მუსიკალური ჟანრი, რომელიც ყველაზე პოზიტიურად მოქმედებს, ამიტომ აქ საუბარი არ ეხება რეპის, მეტალის ან პოპ-მუსიკის დაპირისპირებას, თუმცა, ამის მიუხედავად, სწავლულებმა გარკვეული კანონზომიერება დაადგინეს: ადამიანები, ვინც ენერგიულ საცეკვაო მუსიკას უსმენს, ხშირად ე.წ. კლუბურ ნარკოტიკებს მოიხმარს. მათ სპეციალისტები რეგიზე ან კლასიკურ მუსიკაზე „გადასვლას“ ურჩევენ; თუ ადამიანს დეპრესია აქვს, სჯობს, მეტალს მოუსმინოს — ასე ნარკოტიკებისგან, როგორც დეპრესიასთან გამკლავების ხერხისგან დაიცავს თავს. საერთო ჯამში, სპეციალისტები მუსიკის ტემპზე ამახვილებენ ყურადღებას, რაც გულისცემაზე ახდენს გავლენას.

ღამურებს საავადმყოფო ეაუხსნეს

ბევრმა ალბათ არ იცის, რომ შორეულ ავსტრალიაში, ქალაქ ქტერტონში არსებობს საავადმყოფო ტოლგა, სადაც დაჭრილ ან ავადმყოფ ღამურებზე ზრუნავენ. სამუშაოს აქ მოხალისეები ასრულებენ, რომლებიც „პაციენტებს“ ტყეებსა და სხვა ადგილებში ეძებენ. მათთვის განკუთვნილ სპეციალურ კლინიკაში კი აჭმევენ, წამლებს აძლევენ, რეაბილიტაციის კურსის შემდეგ კი უკან უშვებენ. მიუხედავად იმისა, რომ ღამურები მავნებლებად მიიჩნევა, მათ მაინც მოაქვთ გარკვეული სარგებელი — მცენარეების დამტვერვას ახდენენ ან მწერებს ჭამენ.

პირველი ვირტუალური სასაფლაო შექმნეს

შვეიცარულ კომპანიას ქვეყანაში პირველი ვირტუალური სასაფლაოს შექმნის იდეა გაუჩნდა — საუბარია ყოველი საფლავის სპეციალური QR-კოდით აღჭურვაზე, რომლის სმარტფონით სკანირების შემდეგაც, შესაძლებელი იქნება ინფორმაციის გაგება გარდაცვლილზე, მისი ფოტოებისა და ვიდეოების ნახვა. იდეის ავტორი ახალგაზრდა, 26 წლის მეწარმე ჟულიენ ბიუნიონია და სწორედ მან შექმნა სპეციალური საიტი, რომელიც საშუალებას იძლევა, დაინტერესებულმა ადამიანმა ნახოს საფლავის ქვა და ძეგლი, უშუალოდ ადგილზე მიუსვლელად. ახალგაზრდა ამბობს, რომ ამ საქმით ფულის გაკეთება ნამდვილად არ სურს — უბრალოდ, შვეიცარიელებს საშუალებას აძლევს, სასაფლაო „ახალი ფორმატით“ მოინახულონ. სისტემა კი მარტივია — 300 ფრანკად გარდაცვლილის ახლობლებს შეუძლიათ, კერამიკაში შესრულებული სპეციალური კოდი შეიძინონ, რომელსაც საფლავის ქვას მიამაგრებენ, შემდეგ კი ონლაინრეჟიმში შეავსონ ინფორმაცია მასზე. ესეც პრაქტიკულად Facebook-ია, რომლის სტუმარსაც შეუძლია, სურვილის შემთხვევაში, შეტყობინება დაუტოვოს გარდაცვლილის ოჯახს.

ყველაზე ახალგაზრდა პროგრამისტი

მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა IT-სპეციალისტი, რომელმაც Microsoft Certified Professional-ის გამოცდა წარმატებით ჩააბარა, პაკისტანური წარმოშობის ხუთი წლის ბრიანელი ბიჭუნა აიან კურეშია. ბირმინჰემის უნივერსიტეტის დამკვირვებლები გაოცებულები იყვნენ, როცა პატარა ბიჭი დაინახეს გამოცდაზე, რომელსაც კომპიუტერული ტექნოლოგიების სპეციალისტობის მსურველი სტუდენტები აბარებენ. პროფესორების ეჭვის მიუხედავად, კურეში ადვილად გაუმკლავდა დავალებას. ბავშვის მამის თქმით, ბიჭი კომპიუტერით სამი წლიდანაა გატაცებული, თანაც გასაოცარი მეხსიერება აქვს. ბრიტანელ ვუნდერკინდს კი სურს, მომავალში იშოვოს სამსახური, რომელიც მისთვის ორ საყვარელ საგანთან — მათემატიკასა და ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან იქნება დაკავშირებული. აღსანიშნავია, რომ წინა რეკორდსმენი ასევე პაკისტანური წარმოშობის ბიჭი იყო, რომელმაც „მაიკროსოფტის“ სერტიფიკატი 6,5 წლისამ მიიღო.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

8	5	1	6	3	4	9	7	2
7	4	9	8	5	2	3	1	6
6	3	2	1	9	7	5	4	8
1	2	6	5	7	3	8	9	4
3	9	8	4	2	1	7	6	5
5	7	4	9	8	6	2	3	1
9	6	5	3	4	8	1	2	7
2	1	3	7	6	5	4	8	9
4	8	7	2	1	9	6	5	3

სტანდარტი

6	5	4	8	3	2	1	7	9
2	3	1	9	7	4	5	8	6
9	8	7	1	6	5	4	3	2
8	7	6	5	9	3	2	1	4
3	4	5	7	2	1	9	6	8
1	2	9	4	8	6	3	5	7
7	1	8	3	4	9	6	2	5
5	9	2	6	1	7	8	4	3
4	6	3	2	5	8	7	9	1

რთული

7	9	6	2	5	4	3	1	8
8	2	5	3	7	1	6	4	9
3	4	1	6	9	8	7	2	5
6	8	7	5	4	3	2	9	1
2	1	9	8	6	7	5	3	4
5	3	4	1	2	9	8	7	6
1	7	3	9	8	6	4	5	2
4	6	2	7	1	5	9	8	3
9	5	8	4	3	2	1	6	7

ექსპერტი

7	3	8	6	2	1	9	5	4
5	1	9	4	3	8	2	7	6
6	4	2	9	7	5	3	1	8
3	2	1	8	9	4	7	6	5
4	6	7	5	1	3	8	2	9
9	8	5	7	6	2	4	3	1
2	9	6	1	8	7	5	4	3
8	7	4	3	5	6	1	9	2
1	5	3	2	4	9	6	8	7

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

დაცვის პოლიციის დეპარტამენტი საკონტრაქტო სამსახურში მიღებას აცხადებს

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი აცხადებს 18-დან 27 წლის ასაკის მოქალაქეთა მიღებას საკონტრაქტო სამსახურში.

სამხედრო აღრიცხვაზე მყოფი მოქალაქეები სამსახურში მიიღებიან ერთი წლის ვადით. დაცვის პოლიციაში სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდა, წვევამდელების გარდა, შეუძლიათ სტუდენტებს, ოჯახში ერთადერთ შვილებს, 27 წლამდე მამაკაცებს, რომლებსაც ჰყავთ ცოლ-შვილი. სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდის შესახებ კანონმდებლობის მიხედვით აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეები შეღავათებით სარგებლობენ, თუმცა, თუ მათ სამომავლო კარიერისთვის სურვილი აქვთ, გაიარონ სამხედრო სამსახური, შეუძლიათ, მიმართონ შსს-ს დაცვის პოლიციის დეპარტამენტს.

საკონტრაქტო სამსახურის პირობები:

ვადა: 12 თვე
გრაფიკი: სამ დღეში ერთხელ 24-საათიანი რეჟიმი (შესაძლებელია სწავლის შეთავსება).
ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევა;
ყოველთვიური ანაზღაურება: 90 ლარი;

სამსახურში ჩასარიცხად საჭიროა:

1) კანდიდატი მობრძანდეს დაცვის პოლიციის დეპარტამენტში მისამართზე: აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ.
2) დაასახელოს/წარმოადგინოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ან სხვა ძალოვანი უწყების თანამშრომლის რეკომენდაცია;
3) გაიაროს გასაუბრება და ჯანმრთელობის კომისიის შემოწმება;

წარმატებული კანდიდატები ორი კვირის განმავლობაში გაივლიან სპეციალური მომზადების კურსს. სამხედრო ფიცის მიღების შემდეგ ჩაირიცხებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს საკონტრაქტო სამსახურში და დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სხვადასხვა ქვედანაყოფში გადანაწილდებიან.

დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციისთვის შეუძლიათ დარეკონ ნომერზე: 125 (ზარი უფასოა).

დაცვის პოლიცია მომხმარებელს სთავაზობს ავტომობილების GPS-GPRS მონიტორინგს

125
დაცვის პოლიცია

GPS-ის სისტემა მანქანის მფლობელს აძლევს საშუალებას, ცოცხალ – LIVE-რეჟიმში განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა, აკონტროლოს გადაადგილების ტრაექტორია და მართოს სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები და გრაფიკები. უწყვეტ რეჟიმში და ყველაზე ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია სახლიდან, ოფისიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით.

GPS-ის მომხმარებელს შეუძლია:

- მანქანის ადგილმდებარეობის, სიჩქარის, გავლილი ტრაექტორიის, მოძრაობის დროის, ძრავის მდგომარეობის (ჩართული/გამორთული) LIVE მონიტორინგი;
- გავლილი მარშრუტის ისტორიის დათვალიერება დღის, თვის, მოძრაობისა და დროის მიხედვით;
- განვლილ პერიოდში მაქსიმალური სიჩქარისა და მანძილის დაფიქსირება;
- სტატისტიკის ამოღება;
- მანქანის დაძვრა-გაჩერების ისტორიის ნახვა;
- საწვავის კონტროლი;
- საკონტროლო ფუნქციების ოპტიმიზაცია.

GPS-GPRS სისტემის გამოყენებით დაზოგავთ დროსა და თანხას, რაც მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესისთვის.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით დაცვის პოლიციის საინფორმაციო სამსახურს 125 (ზარი უფასოა).

SECURITY POLICE 125 SECURITY POLICE 125

www.125.ge